გაზეთი ბოლოსია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№101 (996) 22 - 23 ოქტომბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მოგზაურობა ბიუჯეტით

გვ.2

პატიმრების ფულის მითვისების მაქინაცია

როგორ „ტეხავს“ ციხის ადმინისტრაცია ბარათებიდან თვეში 20 ათას ლარს

გვ.6

პატიმრის დღიური

„წელიწადზე მეტია ვამბობ, ლოთი ქობალია მომკლავს-მეთქი, მაგრამ გამოძიება ჯანჯღლდება“

მაია ნიკოლეიშვილი:

„პენიტენციალურ სისტემაში პატიმრებისთვის ფსიქოტროპული აბები დღესაც ხელმისაწვდომია... არაფერი გაკეთდა საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისთვის... ციხეში დაგროვილი აგრესია ოჯახის წევრებზე გადადის... ზოგადად ქართველი მამაკაცი სოციალურად კასტრირებულია! “

გვ.5

ექსკლუზივი

ძალადობის მსხვერპლი ჟურნალისტი თამიდა ღომიშვილი შსს-სთან უვადო შიმშილობას იწყებს

გვ.7

ალბა ძალადობას!

როგორ ყალიბდებიან ციხეში მოძალადეებად და რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ პრობლემის გადასაჭრელად

ებოლა — რეალური საფრთხე თუ გლობალური აფერა

გვ.8

იყენებს თუ არა ვირუსს რუსეთი ევროპის, ამერიკა კი აფრიკის წინააღმდეგ და ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს მოსახლეობას

„ამას პირველად ვამბობ, ანქვაბი პრეზიდენტი აღარაა და ჩვენს შორის უხერხულობა მოხსნილია...“

გვ.3

ვინ და როგორ გეგმავს პატრიარქის მომავალს ივანიშვილის სასახლეში და რატომაა ანტიკრიზისული მთავრობა ერთადერთი გამოსავალი

თბილისის მერია უგულავას შეცდომების გამოსწორებას სასამართლოს გზით, დაზარალებულების ხარჯზე ცდილობს

გვ.4

ყოფილი პარლამენტარი და ბიზნესმენი თაღლითების მსხვერპლი გახდა

გვ.9

თამაზ დაუშვილი სამართლიანობის აღდგენას უზენაეს სასამართლოში ელის

მოგზაურობა ბიუჯეტით

გიორგი იაშვილი

მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების სამგზავრო ხარჯები უამრავი პუბლიკაციისა და მითქმა-მოთქმის საგანი გამხდარა. მოცემული საკითხი აქტუალური წინა ხელისუფლების პირველი პირის, მიხეილ სააკაშვილის პერსონის გამო გახდა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჰაერიდან არ ჩამოდიოდა. მისივე ერთ-ერთი განცხადებით, ის მსოფლიოს ყველა ცნობილ კურორტზეა ნამყოფი. რა თქმა უნდა ადგილის გაცნობისა და საუკეთესო გამოცდილების საქართველოში გაზიარების მიზნით.

ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების საქმიანობისას საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი პირობების უზრუნველსაყოფად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე 2007 წელს შეიქმნა სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო. 2012 წელს სააგენტო სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის ფინანსებიც დაექვემდებარა სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას წარმომადგენლობითი ხარჯების — საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ოფიციალური ვიზიტების, მიღებების, საპრეზიდენტო ღონისძიებების განხორციელებისათვის და ა.შ 2009-2012 წლებში დაიხარჯა სულ 19 მილიონი ლარი.

წარმომადგენლობით და სხვა ხარჯების სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბალანსზე გადატანით პრეზიდენტმა სააკაშვილმა ერთის მხრივ მოსახერხებელ საფულედ აქცია სამსახურის ანგარიში, მეორეს მხრივ კი გაასაიდუმლოა წარმართული ხარჯები, რაც მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. მის მიერ გაწეული დანახარჯები მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გამოაშკარავდა. გარდა წარმომადგენლობითი ხარჯებისა, ასტრონომიულ რიცხვს აღწევდა მისი დაცვის მრავალმილიონიანი ხარჯი. ამჯერად ჩვენ მხოლოდ საზღვარგარეთის ვიზიტებისას გაწეულ ხარჯებს შევეხებით.

სააკაშვილისა და მისი თანმხლები პირების საზღვარგარეთის ვიზიტებზე 2009-2013 წლებში მარტო სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან დახარჯულია 5 მილიონამდე ლარი. ცალკეული შემთხვევები ცხადყოფს, რომ სააკაშვილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტსა და ანგარიშებს საკუთარი საფულესავით იყენებდა, ნებისმიერი ხარჯის გასაწევად. ამ მხრივ ერთ-ერთი თვალსაჩინო ვიზიტი იყო სააკაშვილის ვოიაჟი ავღანეთში 2013 წლის ახალი წლის შესახვედრად. საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 25 დეკემბრის №25/12/03 განკარგულებით დამტკიცდა სამუშაო ვიზიტი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში და გასამგზავრებელი დელეგაციის შემადგენლობა. მოგვიანებით, დელეგაციის შემადგენლობა შეიცვალა, ხოლო ვოიაჟს თან დაერთო დუბაიში გაჩერება 3 დღით, რომლის ჯამურმა ხარჯმაც 214 ათასი ლარი შეადგინა.

არანაკლებ სკანდალური იყო 2012 წლის 22-24 მარტს ტაილანდში, ქ. ფხუკეთში სააკაშვილისა და მისი თანმხლებების, დავით ბაქრაძის, ლევან ვარშალომიძის და რაფაელ გლუქსმანის მოგზაურობა. 2 დღის მანძილზე ქართველებმა ტაილანდში 128 ათასი ლარი დატოვეს. ქართული დელეგაცია ფხუკეთში დიდხანს არ შეყოვნებულა, უკან გზა სამშობლოსკენ სინგაპურის გავლით გამოიარეს. სინგაპურში 2012 წლის 24-25 მარტს ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა 61 ათასი ლარი შეადგინა. თუკი ჩამოთვლილ ხარჯებს დავამატებთ რაფაელ გლუქსმანისა და დავით ბაქრაძის ავიაბილეთების ღირებულებას, რაც ცალკე იქნა გადახდილი, ტაილანდსა და სინგაპურში გატარებული სამი დღე მთლიანობაში 213 ათასი ლარი დაუჯდა სახელმწიფო ბიუჯეტს. ათობით და ასობით ათასობით ლარია დახარჯული ექსპრეზიდენტის და თანმხლები პირების სამართლებრივი საფუძვლის არმქონე ვოიაჟებში არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში სხვადასხვა დროს.

საქართველოს დღევანდელი პრემიერ-მინისტრის ვიზიტის ხარჯებზე ინფორმაციას ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები ავრცელებენ. რატომღაც ასეთ თემებზე ნაციონალურ მოძრაობაში სპიკერად ირმა ნადირაშვილს ირჩევენ, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა სააკაშვილის საპრეზიდენტო ადმინისტრაციასა და მისი ყველა ვოიაჟის დაგეგმვას. წარსული გამოცდილება როგორც ჩანს აიოლებს მისთვის წარმოდგენილი ხარჯების ინტერნეტიდან ამოღებული ფოტოებით გაფორმებას. თუმცა ალბათ გასაკვირი არც უნდა იყოს, თუ როგორი გაწიწმატებით ცდილობენ ფუქსავატობაში გადახდილი ასტრონომიული ხარჯების გამართლებას ნაციონალური მოძრაობის წევრები, რასაც მათი პრეზიდენტის დაუოკებელი მადა მოიხმარდა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის არათუ პირველი კლასით, არამედ ზოგადად თვითმფრინავით მგზავრობაა ფუფუნება. მავანი პოპულისტი რომ მიუშვა, სავარაუდოდ ყოველგვარ ხარჯებს შეზღუდავს, თუმცა პოპულისტი იმიტომაა პოპულისტი, რომ ამგვარად მხოლოდ საუბრობს, საქმეში პირიქით იქცევა და ნაციონალური მოძრაობის მაგალითზე ქრესტომათიულად კარგად ჩანდა ეს.

გაპრეზიდენტებისთანავე სააკაშვილი დაგვპირდა, რომ ოროთახიან ბინაში იცხოვრებდა და ეკონომკლასით იფრენდა. ერთხელ საჩვენებლად ასეც მოიქცა. თუმცა ძალიან მალე ეს რეალობა შეიცვალა. ბოლო პერიოდში კი სააკაშვილი ტელეკამერების წინაც კი განცხადებას პერსონალური ავიალაინერის ფონზე აკეთებდა, რომლითაც ჩარტერულ რეისებს ასრულებდა მისთვის სასურველი მიმართულებებით. მისი გუნდის წევრები დღეს დროს ამ უაზრო ვიზიტების გამართლებაში ხარჯავენ. 1 საათი ფრენის ფასი ჩარტერული რეისით მცირე მანძლზე 5000 ევროს შეადგენს, დიდ მანძილზე 8-9000 ევროს და კიდევ უფრო მეტს, გააჩნია საფრენ ბორტს. ნიუ-იორკამდე საფრენი მინიმუმ 11 სთ-ია, ესე იგი გამოდის, რომ მთლიან დელეგაციას დაუხარჯავს ის თანხა სასტუმროიანად, რასაც სააკაშვილი მარტო გადაფრენაში ხარჯავდა.

მხოლოდ მოცემული მაგალითიც კი საკმარისია შედარებისათვის, თუ როგორ ხარჯავენ მთავრობები ბიუჯეტის ფულს. ფულის დახარჯვის გარეშე ვერანაირი აქტივობა ვერ განხორციელდება. ამიტომ, გარდა კითხვისა, თუ რამდენი ფული დაიხარჯა ამა თუ იმ ვიზიტზე ან აქტივობაზე, მალე ხალხში გაჩნდება კითხვაც, თუ რა მივიღეთ (ვიყიდეთ) ამ ფულით.

გარდა მოგზაურობის ხარჯების რეალურ მაჩვენებლებამდე დაყვანისა, ახალმა მთავრობამ ერთი პრინციპული სიახლეც შემოგვთავაზა. სააკაშვილის ვოიაჟებისთვის ჩვეული იყო ვიზიტის გაშუქებაზე ზრუნვა, რაც ტელეჟურნალისტების წაყვანასა და ვიზიტში ჩართვას გულისხმობდა, რომლის ხარჯებსაც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები ანაზღაურებდნენ, ძირითადად კი მთავრობის სარეზერვო ფონდი. დღეს ჟურნალისტები დელეგაციებს მხოლოდ საკუთარი ხარჯებით მიყვებიან და სახელმწიფო ბიუჯეტი ამ ზედმეტი ხარჯისგან თავისუფალია.

სიახლეა ხარჯების გამჭვირვალობაც, როდესაც დღეს აღარავითარ პრობლემას არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის მოპოვება ნებისმიერ საბიუჯეტო ხარჯთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც წინა ხელისუფლების დროს თანხები ძირითადად არამიზნობრივად, შეუსაბამო უწყებიდან და „საიდუმლო“ გრიფით იხარჯებოდა. გამჭვირვალობა და წინა ხელისუფლების ხარჯების გამოქვეყნება საშუალებას აძლევს არამხოლოდ ცალკეულ ანგაჟირებულ პოლიტიკოსებს, არამედ რიგით მოქალაქეებს, შეაფასოს მთავრობის საქმიანობა, გაწეული ხარჯი და მისი ეფექტურობა. ასეთი შეფასება საზღვრავს ელექტორატის დამოკიდებულებას პოლიტიკური ფიგურების, პარტიებისა და ხელისუფლების მიმართ.

22 ოქტომბერს „ჯორჯიან თაიმსი“ XV ბიზნესდაჯილდოებას გამართავს

ერუსუდან შელია
557-100-768

22 ოქტომბერს, მედია ჰოლდინგი „ჯორჯიან თაიმსი“ და საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევის კომპანია „გორბი“ ფუნიკულიორის კომპლექსის წვეულებათა დარბაზში, III სართულზე, XV ტრადიციულ ბიზნესდაჯილდოებას გამართავენ. როგორც მედიაჰოლდინგის ხელმძღვანელმა მალხაზ გულაშვილმა განმარტა, წლის საუკეთესო კომპანიას თავად ბიზნესმენები აირჩევენ: **„ბევრ კომპანიას თავად აქვს სურვილი გამარჯვებული გახდეს. დარწმუნებული ვარ, საკმაოდ მძაფრი ბრძოლა იქნება. ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ ქართული ბიზნესის პოპულარიზაცია, სტიმულირება და დაჯილდოება მოხდეს“.** გამარჯვებული 30 კომპანია სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდება. ისინი კი თავის მხრივ, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ერთ საუკეთესო კომპანია/ბიზნესმენს გამოავლენენ. გამარჯვებულ კომპანიას გარდამავალი „ბოლნური ჯვარი“ გადაეცემა. **„წვეულება თავშეყრის ადგილია არა მარტო ბიზნესის, დონორი ან დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენლებისთვის, არამედ დიდი ფორუმი მედიისთვის, სახელმწიფო სექტორისა და ყველა იმ დაინტერესებული ჯგუფისთვის, რომლებიც ამ სფეროს წარმომადგენლები არიან“,** — განაცხადა „გორბის“ ხელმძღვანელმა მერაბ ფაჩულიამ.

აღნიშნული ღონისძიება პირველად 1995 წელს ჩატარდა. როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, პროექტის მიზანია: ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა; დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის; ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება; ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა; საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენების ურთიერთდაახლოება და, რაც მთავარია, ქართული ბიზნესის მიმართ მსოფლიო ბიზნესსაზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ქართული ბიზნესის წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში კი ბიზნესრეიტინგის წვლილს არა მხოლოდ საქმიანი, არამედ პოლიტიკური სამყაროც აღიარებს. ტრადიციული XV ბიზნესრეიტინგის საზეიმო გალაღონისძიებას საკანონმდებლო, აღმასრულებელი, ხელისუფლების წევრები, საეკლესიო პირები, ბიზნესმენები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ინტელიგენციის, საქართველოში აკრედიტებული მისიებისა და ფონდების წარმომადგენლები, ადგილობრივი და უცხოური მასმედია დაესწრება. ღონისძიების მხარდამჭერები არიან: თბილისის მერია, ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ICC Georgia, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა, საქართველოს ბიზნესასოციაცია. პროექტის მედია-პარტნიორი კი, სხვა მედიასაშუალებებთან ერთად, გაზეთი „ვერსიაცაა“.

განსაკუთრებული დამსახურების მქონე უმაღლესი სასწავლებლების ყოფილ თანამშრომლებს შესაძლოა, ანაზღაურება დაენიშნოთ

უმაღლესი სასწავლებლების ყოფილ თანამშრომლებს, რომლებსაც წლების მანძილზე აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობები ეკავათ და განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით დაწესებულების წინაშე, ანაზღაურება დაენიშნებათ.

ანაზღაურების წესს და პირობებს უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭო დაადგენს. შესაბამისი ცვლილებები უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შედის, რომლის ავტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია და პარლამენტში ინიცირებულია განათლების კომიტეტის მიერ. კანონპროექტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი იქნება, დაწესებულების წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ყოფილ თანამშრომელთათვის ანაზღაურება გასცეს.

ინიციატივას საპარლამენტო კომიტეტის წევრებს თსუ-ს რექტორი ლადო პაპავა აცნობს. უმაღლესი განათლების შესახებ კანონი ითვალისწინებს ფულადი ანაზღაურების გაცემის შესაძლებლობას უმაღლესი სასწავლებლის იმ ყოფილი პროფესორებისათვის, რომელთაც მინიჭებული აქვთ ემერიტუსის წოდება.

„ინტერპრესნიუსი“

„ამას პირველად ვამბობ, ანქვაბი პრეზიდენტი აღარაა და ჩვენს შორის უხერხულობა მოხსნილია...“

ვინ და როგორ გეგმავს პატრიარქის მომავალს ივანიშვილის სასახლეში და რატომაა ანტიკრიზისული მთავრობა ერთადერთი გამოსავალი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

აფხაზეთ-რუსეთის არაოფიციალური გაერთიანების ხელშეკრულება აქტუალობას ნელ-ნელა საქართველოსთვისაც იძენს. ჩვენი მთავრობა განცხადებებს მიდევნებული ლამპარივით გვიან აკეთებს, მაგრამ რაღაც პოზიცია მაინც აქვს. თუმცა ეს პოზიციაც, როგორც აფხაზების „თვითგამორკვევის“ საკითხი, კიდევ უფრო დიდ დავას იწვევს საზოგადოებაში. სწორედ ამ თემებზე „ვერსიისთვის“ ქართულ-აფხაზური სამშვიდობო სახლის პრეზიდენტი ნესტან კირთაძე მსჯელობს, რომელიც ანქვაბთან ურთიერთობის ექსკლუზიურ დეტალებსაც გვიმხელს და ბიძინა ივანიშვილთან ექსპერტების დახურული შეხვედრის ჩატარებას ითხოვს:

— აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები სიურპრიზი არავისთვის ყოფილა. ვფიქრობ, ეს საკითხი ასე დიდხანს არ დარჩება. აფხაზური ოპოზიცია და საზოგადოება იმაზე ბევრად ძლიერია, ვიდრე თუნდაც ოსური და ქართული. თუკი ამ საკითხთან დაკავშირებით ვინმეს პროტესტი მოვისმინე, თუნდაც სოციალურ ქსელებში, ისევ აფხაზებისგან მოდიოდა. საქართველოში გვიან გამოიღვიძეს, მომხდარი გვიან გაიაზრეს და ამის მერე აკეთეს ფიცხელი განცხადებები.

— დიდი ალბათობით, აფხაზეთში დე ფაქტო ხელისუფლება იმიტომ დაამხეს, რომ ექსპრეზიდენტი ანქვაბი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო. თქვენი აზრით, რას იზამს აფხაზეთი, რომლის ოცნება რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა კი არა, დამოუკიდებლობა იყო?

— ჯერ ერთი, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო პოლიტიკა სრულ არარაობად აქცია და „პაეზტკების“ დონეზე დაიყვანა. აქამდე საერთაშორისო ურთიერთობები ინერციით მიდიოდა, 2 წლის შემდეგ კი ასეთ რეჟიმში გაგრძელება უკვე შეუძლებელი იყო. ცოტა ხნის წინ, ყველას გვეგონა, საქართველო უკრაინასთან წყვილში გამოვიდოდა თავისი პრობლემებით, მაგრამ რა მივიღეთ — საერთაშორისო შეხვედრებზე ქართული დელეგაცია მუდამ დუმდა, ან არ იმყოფებოდა, ხოლო თუ იმყოფებოდა, არ იცოდა, რაზე იყო საუბარი. მასობრივად დაიწყო დასავლელი პარტნიორების ლანძღვა, რაც დამანგრეველი შეცდომა გახლდათ და შედეგიც სახეზეა. პირდაპირ ვამბობ, იყო წლები, როცა საზღვარგარეთ ჩემს ეროვნებას აცხადებდნენ, მოწიწებას ვხედავდი. ახლა კი, როცა ქართველად წარმადგენენ, ვიღაც მაშინვე ხელს ჩაიქნევს. 2012 წლის არჩევნების წინ, აფხაზეთის თემა გავაქტიურე, პარტიიდან წამოვედი და სამშვიდობო მოძრაობა დავაფუძნე. ამას თქვენთან ექსკლუზიურად ვამბობ, რადგან ანქვაბი პრეზიდენტი აღარაა და ჩვენს შორის პოლიტიკური უხერხულობა მოხსნილია — მან პირადი წარმომადგენელი გამომიგზავნა, თქვენი ახალი ხედვა და მიდგომა მაინტერესებს აფხაზეთთან მიმართებაშიო. ამ დროს ბრიუსელში, პარიზში, ბერლინსა და მოსკოვში ალტერნატიული სამშვიდობო პროგრამების პრეზენტაციები უკვე ჩატარებული მქონდა. როცა ანქვაბის პირადი წარმომადგენელი ჩემთან მოვიდა, ანქვაბთან ოფიციალური წერილი გავატანე ჩემი ხედვების შესახებ. ამის მერე

> **აფხაზეთიდან დამირეკეს და მითხრეს, მსგავსი რამ ჯერჯერობით საქართველოდან არ მოგვისმენია, არც ამ ტიპის პოლიტიკური სიგნალი მიგვიღია და სოხუმში ხომ არ ჩამოხვალთო. ისეთი აღტაცებული ვიყავი, მაშინვე ჩასვლის ტექნიკური გზების ძიება დავიწყე, ჩვენი მაშინდელი ხელისუფლება კი წინააღმდეგი აღმოჩნდა.**

— კონკრეტულად ვინ იყო წინააღმდეგი?

— მოლაპარაკება რამდენიმე მიმართულებით გავაჩაღე: მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირება ვცადე, ვესაუბრებოდი შოთა უტიაშვილს. ის ჩემს ზარებს დიდი მოწიწებით პასუხობდა და ამბობდა, რომ ამ შეხვედრის დიდი სურვილი ჰქონდა. მეორე მიმართულება იყო ეკლესია. მინდოდა, მას სააკაშვილზე მოეხდინა გავლენა. თხოვნით მივმართე მარტვილის მთავარეპისკოპოსს, მეუფე პეტრეს, თუმცა მისგან ჩემთვის წარმოუდგენელი სიტყვები მოვისმინე: დაანებეთ თავი მიშას, აფხაზეთს, რაც გინდათ, ის აკეთეთო... ამასობაში, მივიღე კიდევ ერთი შემოთავაზება, სოხუმში სოჭის გავლით ანუ რუსეთიდან შევსულიყავი. ეს ღალატის ტოლფასი იქნებოდა. როცა ენგურის ყველაზე გრძელი ხიდი მაქვს მსოფლიოში, არალეგალურად, ტყე-ტყე რატომ ვიარო?

— ამას ახლა მეუბნებით, 2 წლის შემდეგ? არ ფიქრობთ, რომ შეცდომა დაუშვით, როცა არ გაასაჯაროეთ?

— მაშინ ისევე, როგორც დღეს, ეს საკითხი არავის აინტერესებდა. საქართველომ სოხუმთან ახალ ალტერნატივებზე საუბრის შანსი დაკარგა. ეს ორი ქართული სახელმწიფოს ერთიანობის იდეა იყო, ძალიან ვრცელი და რთული ფილოსოფია, რომელიც აფხაზურმა მხარემ აიტაცა. ზურაბ ლაკერბაია აღფრთოვანებით მიყვებოდა, ანქვაბი ამბობს, ნესტანის იდეა ძალიან მნიშვნელოვანია და მისი განხილვა უნდა დავიწყოთო. ანუ აფხაზები ეძებდნენ ხელჩასაჭიდს ჩვენთან ურთიერთობისთვის. ეს შანსი არათუ „გაიმაზა“ და ჩაიფარცხა, არამედ მთელმა ქვეყანამ დაკარგა. მაშინ ეს თემა რომ ამეწია, იტყოდნენ, ნესტან კირთაძე ამას თვითდამკვიდრებისთვის, საარჩევნო ქულებისთვის აკეთებსო. ამასობაში, აფხაზებიც მოლოდინის რეჟიმში გადავიდნენ, რადგან იფიქრეს, ამ იდეებს უკვე ახალ ხელისუფლებასთან ერთად შევთავაზებდი, თუმცა ყველამ ვნახეთ — ურთიერთობები კი არა, მარაზმი გაგრძელდა. დაიწყო პოლიტიკური კომპრომისების სერიალი, ოღონდ მარტო ჩვენი მხრიდან. ჯერ სამინისტროს გადავარქვით სახელი და „შერიგებულები“ გავხდით, მერე ცალმხრივი დათმობა დავიწყეთ რუსეთთან, ზურა აბაშიძე კი „ღვინის დისტრიბუტორი“ გახდა რუსეთში და მწვანილისა ბოლოკის გაყიდვების მენეჯერად იქცა.

— თუმცა, თავად თქვით, რომ აფხაზეთის ოპოზიცია და საზოგადოება ამ მდგომარეობას არ შეეგუება.

— რა თქმა უნდა, არა. არავის დაავიწყდეს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი რა ფორმითაც უნდა შეუერთდეს რუსეთს და ჩრდილოოსეთიც თან გაიყოლოს, აფხაზეთთან მისი შედარება მაინც არ შეიძლება. აქ საქმე სხვაგვარადაა. ეს ერი არ ტყუის, როცა თავის ტრადიციაზე, ისტორიაზე, აბორიგენობაზე საუბრობს. აი, ჩვენი ისტორიკოსები კი ტყუიან ხოლმე, რადგან საქართველოს ისტორია ქართველ-აფხაზთა ისტორიაა და ჩვენ მათ ჩაყლაპვას არასოდეს ვცდილობდით.

— საინტერესოა, როგორ შეგვიძლია ამ ვითარების გამოყენება და ჩვენს სასიკეთოდ შემობრუნება?

— უკვე ყველაფერი დაგვიანებულია და ალბათ, ახალ-ახალ ქსელებში ტყუილად აღარ უნდა გავიხლართოთ. თუ ხელისუფლებას აფხაზეთის აღიარება უნდოდა, ეს ღიად მაინც გაეკეთებინა. იქნებ, ამის მერე მაინც გამოჩენილიყო ოპოზიცია, რომელიც ეტყოდა, რომ ეს არ გვჭირდება. ხოლო თუ ამას არ აპირებ, შენ თვითონ გამოერკვიე, ვინ ხარ, სად ხარ და რა გინდა. რატომ უნდა ენდოს ამის მერე ჩვენს მინისტრთა კაბინეტს ევროპა ან დასავლეთი, როცა რუსეთშიც კი ვერავინ მიხვდა, რა პოლიტიკას თამაშობს საქართველო. ამას ვერ მიხვდა ქართული საზოგადოებაც!

— სად არის გამოსავალი, ამ ჩიხიდან გამოსვლის შანსი გვაქვს?

— არავინ მიწყინოს, რასაც ვამბობ, მაგრამ უნდა შეიქმნას პროფესიული, ანტიკრიზისული მთავრობა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს და დადებს, ვთქვათ, 10 ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე საკუთარ ჩამოყალიბებულ ხედვას.

> **იცით თურმე, ბოლო დროს შუშის სასახლეში პოლიტიკური ჯგუფები რა თემაზე დარბიან? — საქართველოში შემდეგი პატრიარქი ვინ იქნება, რომ ისიც ბიძინა ივანიშვილმა დანიშნოს! ეს ხალხი იქ იმისთვის დადის, არა ჩემი მოძღვარი იყოს მომავალი პატრიარქი და არა ჩემიო. გესმით, დღევანდელ დაავადმყოფებულ საქართველოში რა თემებზეა საუბარი? არადა, ეს ხომ სინოდის უფლებაა და ამას ეკლესიური კანონები წყვეტს.**

— ამის შესახებ თქვენ საიდან იცით ან ის რა იცით, რომ თავად სინოდის ნაწილი არ დადის შუშის სასახლეში?

— არ მინდა სიღრმეებში ჩასვლა. თქვენი გაზეთის საშუალებით ქვეყნის ხელმწიფეს, ბიძინა ივანიშვილს მოვუწოდებ, დაშალოს ეს მთავრობა და მოამზადოს ვითარება ახალი არჩევნებისთვის, თორემ ცოტა ხანში, ამ საკითხებს ის გადაწყვეტს, ვინც უფრო ხმამაღლა დაიყვირებს მოედანზე. დასკვნისათვის გეტყვით, რომ: 1. ჩვენ აფხაზეთს „ორი ქართული სახელმწიფოს ერთიანობის იდეა“ უნდა შევთავაზოთ; 2. ჩვენ გვჭირდება ანტიკრიზისული მთავრობა. 3. უნდა მომზადდეს ნიადაგი საკანონმდებლო და ფინანსურ დონეზე ახალი არჩევნებისთვის. სხვა შემთხვევაში, კიდევ უფრო ცუდ პროცესებსა და სტიქიურ გამოსვლებს ვპროგნოზირებ, რაც კარგად არ დასრულდება!

ოფიციალურ დოკუმენტებში იაპონია საქართველოს, „გრუზიას“ ნაცვლად, „ჯორჯიად“ მოიხსენიებს

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი იაპონიაში დაიწყო. ტოკიოში ქვეყნის პირველი პირი პირველ ლედისთან ერთად იმყოფება.

„ჰანედას“ საერთაშორისო აეროპორტში ქართულ დელეგაციას იაპონიის სახელმწიფო მინისტრი საგარეო საკითხებში მინორუ კიუჩი დახვდა, რომელთანაც გიორგი მარგველაშვილმა მოგვიანებით შეხვედრა გამართა. აეროპორტში ასევე იმყოფებოდა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი მეუღლესთან, ჰარუე კაიტანთან ერთად.

სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრისას, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები განიხილეს. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილ ვითარებასა და რუსეთ-აფხაზეთს შორის ხელშეკრულების პროექტზეც ისაუბრეს.

„დღეს დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი იაპონიაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ქვეყნის პირველ პირს დატვირთული პროგრამა აქვს, რომლის ფარგლებში შეხვედრებს გამართავს იმპერატორთან, პრემიერ-მინისტრსა და სხვა ოფიციალურ პირებთან. იმედი გვაქვს, შეხვედრებზე დაისმება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები“, — განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძემ.

მისი განცხადებით, მინორუ კიუჩისთან შეხვედრისას ასევე გადაწყდა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში იაპონია საქართველოს, „გრუზიას“ ნაცვლად, „ჯორჯიად“ მოიხსენიებს. ამ საკითხს იაპონიის პარლამენტი 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე განიხილავს.

სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრას ქართული მხრიდან ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში ლევან ცინცაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ გურგენიძე.

„პირველი“

ნატო-მ ქართული მხარის მიერ შეთავაზებული გეგმა მოიწონა

ნატოს შტაბ-ბინაში ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის გეგმა განიხილეს. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 28+1 ფორმატის სხდომაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, მიხეილ დარჩიაშვილმა მოკავშირეებს გეგმის დეტალები გააცნო. დოკუმენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ნატო-ს საერთაშორისო სამსახურთან ერთად შეიმუშავა.

ნატო-მ ქართული მხარის მიერ შეთავაზებული გეგმა მოიწონა და სრული მზადყოფნა გამოთქვა, მაქსიმალურად ჩაერთოს არსებითი პაკეტის დროულად და ეფექტურად განხორციელებაში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გეგმით განსაზღვრული ელემენტების შესრულება დააჩქარებს ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და კიდევ უფრო გააძლიერებს ალიანსთან თავსებადობას.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს რეგიონული უსაფრთხოების საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რუსეთსა და აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონს შორის განვითარებულ მოვლენებზე. კერძოდ, ხაზი გაუსვეს, რუსეთის მცდელობას, გააფორმოს „ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ“ დოკუმენტი, რაც მნიშვნელოვნად არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. ქართულმა მხარემ მოკავშირეებს სრული ინფორმაცია მიაწოდა არსებული ვითარების შესახებ და საერთაშორისო თანამეგობრობას რეაგირებისკენ მოუწოდა.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციამ ასევე შეხვედრები გამართა ალიანსის წევრი ქვეყნების, საერთაშორისო და საერთაშორისო სამხედრო სამსახურების წარმომადგენლებთან.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისის მერია უგულავას შეცდომების გამოსწორებას სასამართლოს გზით, დაზარალებულების ხარჯზე ცდილობს

ლევან ღვინიაშვილი

წინა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საყრდენი თბილისის მერიის სამსახურები რომ იყვნენ, კარგად მოგეხსენებათ. გარდა იმისა, რომ ოფიციალური ვერსიით თბილისის მერიის სამსახურებში მომღერლები, საზოგადო მოღვაწეები და ზონდერები ჰყავდათ გაფორმებული, ხელფასს ე.წ. აქტივისტებიც იღებდნენ და მილიონობით ლარი, პრაქტიკულად, ერთი პარტიის გაძლიერებისკენ მიემართებოდა. ამას გარდა, მერია სატენდერო თემასაც დიდ ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა მსუყე ლუკმა შემთხვევით კომპანიას არ ჩავარდნოდა ხელში და თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, შეცდომის გამოსწორებას სხვა მეთოდებით ახერხებდა.

2013 წლის შემოდგომაზე, მაშინ, როცა ნაციონალურ მოძრაობას ერთადერთ საყრდენ ბერკეტად სწორედ დედაქალაქის მერია შერჩა, შპს „თბილსერვისჯგუფმა“, რომლის 100%-იანი მეწილე სწორედაც რომ თბილისის მერია გახლავთ, ტენდერი გამოაცხადა. „თბილსერვისჯგუფი“ ტექნიკური მარილის შესყიდვას აპირებდა და ტენდერიც სწორედ 7000 ტონა ტექნიკურ მარილზე იყო გამოცხადებული. გამარჯვება შპს „ნენემ“ მოიპოვა, რომელმაც მერიას ერთი ტონა მარილი 114 ლარად შესთავაზა. მთლიანობაში 7000 ტონა მერიას 5 დეკემბრამდე უნდა მიეღო. გადახდა კი შემდეგნაირად ხდებოდა — მიმწოდებელი მერიას მარილს ჩააბარებდა და ფულს მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებდა, მთლიანობაში 798 ათას ლარს.

„ნენემ“ მარილი მერიას რამდენიმე საათის დაგვიანებით მიაწოდა, რადგან მთავარი მომწოდებლებისგან, ირანისა და თურქეთისგან პრობლემები შეექმნა, თუმცა 6 დეკემბერს მერიის წინ მარილით დატვირთული ათი სატვირთო გაჩერდა, „ნენემ“ მერიას 260 ტონა მარილი მიუტანა და მერიის წარმომადგენელს ისიც უთხრა, რომ კიდევ ათი მანქანა გზაში იყო და ორ დღეში თბილისში მარილის ახალი პარტია შემოვიდოდა. პარალელურად, „ნენემ“ დროის 15 იანვრამდე გადაწევა მოითხოვა და თითოეულ დაგვიანებულ დღეზე კანონით დადგენილი ჯარიმის გადახდას დათანხმდა, მაგრამ...

„თბილსერვისჯგუფმა“ კარზე მიყენებული მარილის შესყიდვაზე უარი განაცხადა, „ნენეს“ ხელშეკრულება გაუწყვიტა, სარჩულად ფორსმაჟორი დაუდო და პირდაპირი შესყიდვის წესით ხელშეკრულება ი/მ „ჯემალ ბერიძესთან“ და შპს. „არ ეს პი“-სთან გააფორმა. საინტერესოა, რომ თუ „ნენე“ ტონა მარილს 114 ლარად აწვდიდა, „ჯემალ ბერიძესთან“ და „არ ეს პისთან“ კონტრაქტი 160 ლარზე გაფორმდა. ანუ თუ „ნენეს“ მიერ მიწოდებულ 7000 ტონა მარილში 798 000 ლარი უნდა გადაეხადათ, ახალი კონტრაქტორებიდან იგივე რაოდენობის პროდუქტი 1 120 000 ლარი დაუჯდებოდათ.

„ნენეს“ წარმომადგენელი „თბილსერვის ჯგუფისა“ და მერიის წარმომადგენლებს შეხვდა და განუმარტა, რომ თუ მერია ფორსმაჟორულ სიტუაციაში იმყოფება, ვალდებულიც კი არის კარზე მიყენებული 114-ლარიანი მარილი იყიდოს და არ დაელოდოს „ჯემალ ბერიძეს“, რომელმაც მარილი 20 დეკემბერს უნდა შეიტანოს. ამის მიუხედავად, მერიამ კვლავ უარი განაცხადა და... 20 დეკემბერს ი/მ „ჯემალ ბერიძემ“ მერიას 338 ტონა მარილი მიუტანა, ანუ 4 000 ტონის უზრუნველყოფა მანაც ვერ მოახერხა. საბოლოოდ, დღეის მდგომარეობით, ი/მ „ჯემალ ბერიძეს“ მერიისთვის 1700 ტონა მარილი აქვს მიწოდებული, მაგრამ ამის მიუხედავად, მერიას მასთან არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, არც უჩივის და არც ხელშეკრულებას უწყვეტს.

სამაგიეროდ, მერია „ნენეს“ გარანტორ სადაზღვევო კომპანია „არდისგან“ 80 ათასი ლარის ანაზღაურებას ითხოვს.

სადაზღვევოში აცხადებენ, რომ ეს ზარალი ხელოვნურად არის მიყენებული, რადგან მერიას არანაირი ფორსმაჟორი არ ჰქონია და თუ ჰქონდა, ვალდებული იყო, 114-ლარიანი მარილი ეყიდა და არ დალოდებოდა 160-ლარიან პროდუქციას...

„თბილისის მერია აბსურდულ მოთხოვნას აყენებს. ბიუჯეტმა ზედმეტი თანხა არა „ნენეს“ გამო, არამედ „თბილსერვის ჯგუფისა“ და მერიის ხელმძღვანელების გადაწყვეტილების გამო გადაიხადა, რომლებმაც 114-ლარიანი პროდუქტი 160 ლარად შეიძინეს, რითიც ბიუჯეტს ზარალი თვითონ მიაყენეს“, – აცხადებენ სადაზღვევო კომპანიაში.

და ყველაზე საინტერესო — „თბილსერვისჯგუფის“ დირექტორი თორნიკე შიოლაშვილი გახლდათ. მას მერიაში ტარიელ ხიზანეიშვილის შვილობილს ეძახდნენ. ეს ის ხიზანეიშვილია, გიგი უგულავას მარჯვენა ხელად რომ ითვლებოდა, მერე საკუთარი თავის გადასარჩენად, გამოძიებას მერიაში არსებული დარღვევების შესახებ წვრილად მოუყვა და ახლა სწორედ მისი ჩვენებების საფუძველზე ზის ციხეში ბატონი გიგი. რაც მთავარია, აღნიშნულ თემაზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და დაკითხულია პრაქტიკულად ყველა მხარე, თუმცა რა ეტაპზეა გამოძიება, ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, იმის თქმა შეგვიძლია, რომ ამ გარიგებით ბიუჯეტმა 300 ათას ლარზე მეტი იზარალა და ახლა ამ თანხის ნაწილის ამოღებას „არდისგან“ ითხოვენ, კომპანიისგან, რომელიც აცხადებს, რომ სადაზღვევო კონტრაქტიდან გამომდინარე, ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზიანს დაფარავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვიღაცების კორუფციული გარიგების შედეგად მიყენებული ზიანიც მისი გადასახდელია.

საქმეს სამოქალაქო სასამართლო განიხილავს. თავის მხრივ, „თბილსერვისჯგუფს“ შპს „ნენეც“ უჩივის და როგორც კომპანიაში აცხადებენ, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებენ.

„ინიციატივების გამამართლებელ არგუმენტად ევროკავშირის დასახელება არასწორია“

რას ითხოვს ჩვენგან ევროპა და რა წერია ასოცირების ხელშეკრულებაში

რუსუდან შელია
557-100-768

ავტომობილებისთვის ახალი სანომრე ნიშნები, საემიგრაციო პოლიტიკა, ოკუპაციის შესახებ კანონში ცვლილებები, სარეცეპტო სისტემა, — ეს იმ ინიციატივების ნაწილია, რომელსაც ხელისუფლება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერას „აბრალებს“. არადა ირკვევა, რომ მათი უმრავლესობა ხელშეკრულებაში მოცემული სულაც არ არის. კონკრეტულად რა მოთხოვნები აქვს ევროპას საქართველოსთან და რა ვალდებულებები იკისრა ქართულმა მხარემ, „ვერსიასთან“ დიპლომატი მამუკა კუდავა განმარტავს.

— ხელისუფლების საემიგრაციო პოლიტიკა ხმაურიანი განხილვის საფუძველი გახდა. მმართველი გუნდი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ნაკისრი ვალდებულებებით აპელირებს. რა წერია ასოცირების ხელშეკრულებაში სავიზო პოლიტიკის შესახებ?

— ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი სავიზო პოლიტიკის შეცვლას არ ითვალისწინებს. საუბარია მხოლოდ მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებაზე, რაც, თავის მხრივ, არ ნიშნავს, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს 90-დღიანი სავიზო რეჟიმი დაუწესო. ეს ინიციატივა ხელშეკრულებასთან კავშირში არ არის — მსგავსი ვალდებულება ევროპას საქართველოსთვის არ დაუწესებია. პირიქით, ასოცირების ხელშეკრულება უამრავ სფეროში თანამშრომლობასა და სტანდარტიზაციას, პოლიტიკის თავსებადობას ითვალისწინებს. მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა მიმართულებით მაღალი სტანდარტების დანერგვა, მაგალითად — სურსათის უვნებლობა, ვეტერინარული ცვლილებები, თუმცა ეს, ვალდებულება კი არა, საერთო ინტერესებისშემცველი საკითხების განხილვაა. უამრავ სფეროში სტანდარტიზაციის თავსებადობა რამდენიმე წელზეა გათვლილი — სხვადასხვა ეტაპია გასავლელი, სანამ ევროკავშირის სტანდარტს მიაღწევ. ანუ საქართველოსთვის ევროპის სავაჭრო ზონა კი გაიხსნა, მაგრამ, პარალელურად, უამრავ საკითხზე მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს.

— განმარტეთ, ასოცირების ხელშეკრულებაში მითითებული პოლიტიკური სტანდარტები რას გულისხმობს და რამდენად თავსებადია არსებულ ქართულ პოლიტიკასთან?

— ასოცირების ხელშეკრულებაში პოლიტიკური მიმართულებით რამდენიმე პუნქტია ჩამოთვლილი. მათ შორის: საერთო ფასეულობები დემოკრატიის განვითარებისა და კანონის უზენაესობის შესახებ. ასევე ადამიანის თავისუფალი ნების, რელიგიური, სექსუალური, ეთნიკური თუ სხვა უმცირესობის წარმომადგენელთა უფლებების დაცვა. მნიშვნელოვანია რეგიონული სტაბილურობის შენარჩუნებაც — რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს რეგიონული უსაფრთხოების მხარდაჭერისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის. ეს ყველაფერი ნებისმიერი ცივილური ქვეყნის ფასეულობაა და არავინ იფიქროს, ევროკავშირთან თანამშრომლობისთვის საქართველოს განსაკუთრებული და სპეციფიკური პუნქტების შესრულება დაევალა.

— ასეთ სპეციფიკურ ვალდებულებად გამოცხადდა წამლების რეცეპტით გაყიდვა.

— ამ მიმართულებით ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სხვადასხვა მოთხოვნაა — ასოცირების ხელშეკრულებაში არავის ჩაუწერია, საქართველომ „ნიმესილი“ რეცეპტით უნდა გაყიდოს თუ არა — მსგავს პოლიტიკას თავად ქვეყანა წყვეტს.

უამრავ საკითხში ხელისუფლება ცდილობს, ინიციატივების გამამართლებელ არგუმენტად ევროკავშირი დაასახელოს, რაც არასწორია. რა თქმა უნდა, გარკვეული ღირებულებების დამკვიდრებას ევროკავშირი ითხოვს და ჩვენც ვთანხმდებით, მაგრამ ეს პრინციპების თავსებადობას გულისხმობს და არა თითოეული დეტალის ხელშეკრულებაში გაწერას.

— კიდევ ერთი სადავო საკითხი ოკუპაციის შესახებ კანონია — მმართველი გუნდი ამტკიცებს, რომ სასაზღვრო პოლიტიკის დადგენაც სწორედ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაა.

— ოკუპაციის შესახებ კანონი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაშიც, ევროკავშირი ვერ მოგვთხოვს, სახელმწიფო საზღვრებზე სხვადასხვა რეჟიმი და ჯარიმა დავაწესოთ. შესაძლოა, კულუარულად მმართველ გუნდს პოლიტიკის შერბილებისკენ მოუწოდებს, თუმცა ხელისუფლებისა და ოპოზიციის კამათში ევროპა ვერასოდეს ჩაერევა. ზოგადად, ევროკავშირი არასოდეს დაგავალდებულებს ან შენ როგორ აიღებ ვალდებულებას, შიდასაკითხები ვინმესთან შეათანხმო?

— ხელისუფლების მსგავსი დამოკიდებულება ისტორიული შეთანხმების მიმართ, ევროკავშირთან მომავალ ურთიერთობაზე ნეგატიურად არ აისახება?

— ასეთ შემთხვევებში ევროკავშირი სადამსჯელო ღონისძიებებს არ მიმართავს. თუ გარკვეული საკითხები ასოცირებულ სახელმწიფოსთან ვერ შეთანხმდა, ეს ისევ მოლაპარაკების საგანი ხდება — იკრიბებიან და საკითხებს განიხილავენ. ეს ევროპის კიდევ ერთი ფასეულობაა.

„ქართველი მამაკაცი სოციალურად კასტრირებულია!“

როგორ ყალიბდებიან ცხეში მოძალადეებად და რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ პრობლემის გადასაჭრელად

ეკრუსუდან შელია
557-100-768

ილიას უნივერსიტეტში მაკა წივწივაძის მკვლელობამ საზოგადოება შეძრა — მკვლელი ყოფილი მეუღლე ამნისტირებული პატიმარი იყო და სამწუხაროდ, ეს პატიმრის მიერ მეუღლეზე განხორციელებული ძალადობის პირველი შემთხვევა არ არის. ამ საზარელი ფაქტის შემდეგ, კიდევ უფრო მძაფრად დადგა საკითხი — რას აკეთებს სახელმწიფო პატიმრების საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და თავისუფლებაში მათი მორალური თუ ფსიქოლოგიური ადაპტაციისთვის? ფაქტია, ობიექტური რეალობა კანონმდებლობის კუთხით არ შეცვლილა. მეტიც, ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი გვიყვება, რომ წლების განმავლობაში ციხის ადმინისტრაცია მსჯავრდებულებს ფსიქოტროპულ აბებს საკვებში უყრიდა, რაც „სხვა სიკეთეებთან ერთად“, მამაკაცის პოტენციის დაქვეითებას და ფსიქიკურ აშლილობას იწვევს. მაია ნიკოლეიშვილი „ვერსიასთან“ ადასტურებს, რომ მსგავსი მედიკამენტები პატიმრებს დღესაც ურიგდებათ, თუმცა ამჯერად, ექიმის მეთვალყურეობით.

— ქალბატონო მაია, მართალია, რომ წლების განმავლობაში მსჯავრდებულებს საკვებში ფსიქოტროპულ აბს — „აზალეპტინს“ უყრიდნენ?

— დიახ, „აზალეპტინი“ ციხეში ხვდება ხოლმე. დაზუსტებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტია, პენიტენციალურ სისტემაში პატიმრებისთვის ფსიქოტროპული აბები დღესაც ხელმისაწვდომია. მეტიც, ლევან კორტავას ფსიქოტროპული იმდენად დიდი დოზით ჰქონდა მიღებული, რომ გარდაცვალებიდან მეთერთმეტე დღეს ქიმიურმა ექსპერტიზამ, გადასხმებისა და სხვადასხვა სამედიცინო პროცედურების შემდეგაც კი, ახალგაზრდას ორგანიზმში აღმოაჩინა. სამწუხაროდ, ლევან კორტავას შემთხვევა ერთადერთი მაგალითი არ არის. დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერება კიდევ ერთი გარდაცვლილი პატიმრის ორგანიზმში აღმოაჩინეს.

— ფსიქოტროპულები პენიტენციალურ სისტემაში ჯანდაცვის სამინისტროს თანხმობით შედის?

— როგორც ვიცი, ფსიქოტროპულებს პატიმრების მოთხოვნის შემდეგ ციხის ექიმები აწვდიან.

— პატიმრებს სხვა უამრავი მოთხოვნაც აქვთ, რომლის შესრულებაზეც უწყება, ხშირად უარს აცხადებს. ფსიქოტროპულებს რატომ არიგებენ ასე გულუხვად, თუ ამ მეთოდით ციხეში კონტროლის დამყარება ბევრად უმარტივდებათ?

— ნაციონალური მოძრაობის დროს ფსიქოტროპულ აბებს პატიმრებს მართლაც შეუზღუდავად აძლევდნენ. დღეს კი, ჩემი ინფორმაციით, ექიმი პატიმარს იგივე აბებს ორკვირიანი პაუზით უნიშნავს. როცა მსჯავრდებულების სამედიცინო ისტორიას ვკითხულობ, ხშირ შემთხვევაში მათ უძილობა და შფოთვა აწუხებთ. უამრავ ადამიანს ლიფტსა თუ თვითმფრინავში ჩაჯდომის შიში აქვს, წარმოიდგინეთ, გამოკეტილ საკანში ადამიანი რა მდგომარეობაში ჩავარდება. ამ გარემოსთან ადაპტაცია რთულია, ამიტომ ფსიქოტროპულ აბებს თავად ითხოვენ.

— პოტენციადაქვეითებული და ფსიქიკაშერყეული პატიმარი მამაკაცები ამნისტიის თუ სასჯელის მოხდის შემდეგ ოჯახში ბრუნდებიან. გამოდის, ახლა სწორედ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგებს ვიმკით.

— რა თქმა უნდა. პატიმრებს რომ აუპატიურებდნენ, ესეც შედეგია. „მეტადონიც“ იგივე არ არის, აბა, რა ჯანდაბაა?

— გასაგებია, წინა ხელისუფლების სისტემურ დანაშაულზე პასუხი კონკრეტულმა ადამიანებმა უნდა აგონ, მაგრამ ამ ხელისუფლების პასუხისმგებლობაზეც ვისაუბროთ — რა გაკეთდა იმისთვის, რომ ასეთი პატიმრების საზოგადოებაში ინტეგრაცია დაწყებულიყო?

— არაფერი. არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც დანაშაულის პრევენციაზე იმუშავებს. ტრავმირებულ ერში ამ საკითხზე მხოლოდ სასჯელაღსრულების სამინისტრო კი არა, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა უნდა მუშაობდეს. საერთოდ, ყველაზე ახლოსმყოფია, რომელთანაც აგრესიის ბუშტი სკდება. ცნობილი ფენომენია — მამა, რომელსაც სამსახურში მკაცრი უფროსი ჰყავს და ხშირად ამცირებენ, სახლში შვილს სცემს. ადამიანი მასზე სუსტს ჩაგრავს მაშინ, როცა აგრესიას საკუთარ თავში ვერ ერევა. ჩემი აზრით, ცოლის გახშირებული მკვლელობაც ამას უკავშირდება.

> **უსამართლობაზე საშინელი განცდა არ არსებობს. ეს ფსიქოლოგიური წამებაა! ადამიანები ციხიდან გამოვიდნენ და აქაც უსამართლობა დახვდათ, სადაც არავინ ისჯება. წლების განმავლობაში ციხეში დაგროვილი აგრესია არსად წასულა და გვერდითმყოფზე გადადის, ასეთი კი ოჯახის წევრია. მამაკაცისთვის ქალი**

> **ყველაზე ახლოსმყოფია, რომელთანაც აგრესიის ბუშტი სკდება. ცნობილი ფენომენია — მამა, რომელსაც სამსახურში მკაცრი უფროსი ჰყავს და ხშირად ამცირებენ, სახლში შვილს სცემს. ადამიანი მასზე სუსტს ჩაგრავს მაშინ, როცა აგრესიას საკუთარ თავში ვერ ერევა. ჩემი აზრით, ცოლის გახშირებული მკვლელობაც ამას უკავშირდება.**

— უმეტესად, ცოლის მკვლელობაში ძირითად მოტივად ეჭვიანობა სახელდება. ღიად ვისაუბროთ კიდევ ერთ საკითხზე — დღევანდელი კანონმდებლობით პატიმრებს გრძელვადიანი პაემნით სარგებლობის უფლება მხოლოდ ოფიციალურ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებთან აქვთ, ისიც შეზღუდული რაოდენობით. თანაც პაემნის უფლებით ყველა კატეგორიის პატიმარი ვერ სარგებლობს. რატომ არ იცვლება დღემდე კანონმდებლობა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს აბსოლუტურად ეწინააღმდეგება?

— ქვეყანა ცალკეა, პარლამენტი — ცალკე. საზოგადოებამ მათზე ხელი ჩაიქნია. უბრალო მაგალითს მოგიყვანთ და ამ გვარის და სახელის ნუ შეგეშინდებათ. ტარიელ ფოცხვერია ე.წ. კანონიერი ქურდი, უმძიმეს მდგომარეობაში ონკოლოგიურ საავადმყოფოში წევს, რომლის დიაგნოზშიც პირდაპირ წერია, რომ მის მკურნალობას აზრი არ აქვს და მხოლოდ სიმპტომურ მკურნალობას უტარებენ. მას ერთი წლის შვილიშვილთან შეხვედრის უფლებას არ აძლევენ. მეტიც, მასთან ზიარებისთვის მოძღვარიც არ შეუშვეს. არადა, პალატაში შვიდი ბადრაგის წევრი და სპეცრაზმი იმყოფება. ამიტომ უსაფრთხოებაზე საუბარი ამ შემთხვევაში ზედმეტია. სად არის ადამიანობა? იგივე პრობლემაა პაემნების კუთხითაც, მაგრამ პატიმრის სექსუალურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი მათი ცნობიერებაა —

გამოვიდა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილი ვერ იპოვა. ეჭვიანობის მომენტი არასრულყოფილ სექსუალურ ცხოვრებასაც უკავშირდება, თუმცა ამას ისიც ემატება, რომ ციხიდან გამოსული კაცი ოჯახში საკუთარ ფუნქციას ვერ იბრუნებს — მარჩენალი ქალი გახდა, მამაკაცის ადგილი კი გაქრა. ანუ ადამიანი, რომელიც ციხეში დაჩაგრული იყო, თავისუფლებაზეც დაჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— მკვლელ ქმრებად მხოლოდ ყოფილი პატიმრების წარმომადგენლები არ ჩამოყალიბებულან. რა გახდა თავისუფლებაში მყოფი მამაკაცის ძალადობის მიზეზი?

— ქართველი მამაკაცი სოციალურად კასტრირებულია! მართალია, ნაწილი მუშაობს, მაგრამ უმრავლესობა თავს არარეალიზებულად მიიჩნევს. სამუალო და უფროსი თაობა სააკაშვილმა „ჩარეცხა“, მაგრამ სამუშაო ადგილები დღესაც არ იმატებს. იქნებ სახელმწიფომ დროებით მაინც ფსიქოლოგიური დახმარების ბრიგადები ჩამოაყალიბოს, რომლებიც დედაქალაქსა და რეგიონებში ყოფილი პატიმრების თუ სხვა კატეგორიის მამაკაცებს გაესაუბრებიან. ეს მათ აგრესიის დაცლაში დაეხმარება.

— და ფიქრობთ, ქართველი მამაკაცების ის კატეგორია, რომელიც სუსტთან ძლიერია, პრობლემებზე ფსიქოლოგს დაელაპარაკება?

— აუცილებლად დაელაპარაკება! სხვადასხვა ორგანიზაციებში საკმაოდ ბევრი მამაკაცი დადის და საკუთარ პრობლემებზე ფსიქოლოგს უყვება. უბრალოდ, ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, ამიტომ სახელმწიფომ ფსიქოლოგთან ვიზიტი დაზღვევის პროგრამაში უნდა ჩართოს. სახელმწიფომ უნდა გაიაზროს, რომ ერი სტრესში ცხოვრობდა და არა მხოლოდ ცხრა წელი. 25 წლის განმავლობაში ერთი ბეწო ქვეყანამ, სამი ომი და უამრავი ახალგაზრდის დაღუპვა გამოიარა. ქალი ვარ და დღემდე თვალწინ მიდგას, აბსოლუტურად ჩაბნელებულ პალატებში აფხაზეთში დაღუპული ბიჭები რომ შემოყავდათ. დერეფანში რომ შევდიოდი, თავისუფლად გასვლას ვერ ვახერხებდი. მათი ნათესავები თავზე ავტომატებით მადგნენ და მოკვლით მემუქრებოდნენ. მესროლეთ-მეთქი, ბოლოს ვყვიროდი. უშუქობა, სიცივე, შიში, სახელმწიფო გადატრიალება — ეს ყველაფერი ჩემთან ერთად ქართულმა საზოგადოებამაც გამოიარა. ამ ყველაფერს სააკაშვილის რეპრესიები დაემატა. ყველაფერი კი, გონებაში ილექება და ნორმალურად ცხოვრების შესაძლებლობას არ გაძლევს. ამიტომაც გახშირდა სუსტზე ძალადობა...

— გამოდის, ერი ვერასოდეს შეძლებს ფსიქოლოგიური ტრავმისგან გათავისუფლებას და ეს აგრესია თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს, რადგან შვილი, რომელსაც მამამ დედა მოუკლა და მას ვერც სახელმწიფო ეხმარება, უკვე განწირულია არასრულფასოვანი ცხოვრებისთვის?

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სოციალური მდგომარეობა მკვეთრად რომ გაუმჯობესებულიყო და სამუშაო ადგილები გაზრდილიყო, ერი ამ სენისგან განიკურნებოდა. აგრესია პოზიტივმა უნდა გადაწონოს და როცა ადამიანი გრძნობს, რომ რეალიზებულია, მას შურისძიების სურვილი აღარ უჩნდება.

ვერსიანიუსი

სახალხო დამცველი პარლამენტის თავმჯდომარეს რეკომენდაციით მიმართავს

უჩა ნანუაშვილი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არაეფექტურ პოლიტიკაზე საუბრობს და მოითხოვს, ძალადობის საშიში ტენდენციები საკანონმდებლო ორგანოს განსაკუთრებული მსჯელობის საგანი გახდეს.

ომბუდსმენი მოითხოვს, პარლამენტმა გამოიყენოს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები და მოიწვიოს მთავრობის შესაბამისი წევრები კონკრეტული და პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ ანგარიშის მოსასმენად: „სახალხო დამცველის აპარატში არსებული გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი ყოველდღიურად სწავლობს განცხადებებსა თუ საჩივრებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის უმძიმეს პრობლემებს მოიცავს. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ყველა დაინტერესებულ თუ ადგილობრივ სტრუქტურასთან, თუმცა ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში 20-ზე მეტი ქალის მკვლელობა მოხდა, რასაც სწორედ გენდერული უთანასწორობა ედო საფუძვლად. სახალხო დამცველი მისალმება პარლამენტის ძალისხმევას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მთავარ პრობლემას კანონმდებლობის აღუსრულებლობა წარმოადგენს. ხშირად გვესმის არგუმენტი, რომ რთულია ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, რადგან იგი ჩაკეტილ სოციალურ წრეში ხდება, თუმცა ქალთა მიმართ ძალადობა დიდი ხანია, გაცდა ჩაკეტილ სივრცეს. საზოგადოების გულგრილ დამოკიდებულებასთან ერთად, მთავარ გამოწვევას დაცვისა და დახმარების ღონისძიებების არაადეკვატური გამოყენება წარმოადგენს. ხშირად ძალადობის მსხვერპლ ქალთა დასაცავად არ ხდება იმ მექანიზმების გამოყენება, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული. შესაბამისად, მათი თხოვნა დახმარების თაობაზე სამართალდამცავების მხრიდან უგულებელყოფილი რჩება“.

ნანუაშვილის თქმით, სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა შსს-ს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტის დროს მომხდარიყო რისკების შეფასება და კანონით გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებების გამოყენება, თუმცა მოძალადის გაფრთხილება ხელწერილით ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ფორმას ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები საერთოდ არ ითვალისწინებს.

ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების მექანიზმები, რომელიც ძალადობის შეჩერებისკენ არის მიმართული, ამ დრომდე არ ამოქმედებულა. ასეთად უჩა ნანუაშვილს სოციალური მუშაკის როლის გაზრდა, ასევე, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი უწყებათაშორისი საბჭოსა და ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის ამუშავება მიაჩნია.

„პირველი“

პრემიერ-მინისტრი რაბინებს შეხვდა

პრემიერმა მსოფლიო ებრაელთა კონგრესის თავმჯდომარეს, ებრაელთა ევროპის საბჭოს პრეზიდენტს, ევროპელ რაბინთა კონფერენციის აღმასრულებელ დირექტორს და მსოფლიოს ქალაქების მთავარ რაბინებს უმასპინძლა.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ქართველი და ებრაელი ხალხის 26-საუკუნოვან ძმობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ორ ერს უნიკალური ურთიერთობები აკავშირებს.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ქართველი ამაყობს ამ სამაგალითო მეგობრობით და იმედოვნებს, რომ ეს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას პოლონეთის, რომის, ბრიუსელის, სტრასბურგის, დორტმუნდის, ჟენევის, მოსკოვის და ოდესის მთავარი რაბინები, ასევე ევროპის ებრაელთა პარლამენტის წევრი და რეიხმანის ფონდის დირექტორი დაესწრნენ.

„პირველი“

2017 წელი გერმანია-საქართველოს წლად გამოცხადდება

ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ბერლინში გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს.

ამასთან, ორ ქვეყანას შორის ბოლო პერიოდში გააქტიურებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს გაესვა ხაზი. ასევე ცნობილი გახდა, რომ მომავალ წელს, საქართველოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან მაღალი დონის ოფიციალური პირები ესტუმრებიან, გერმანიის ფედერალურ კანცლერთან ანგელა მერკელთან ერთად საქართველოს ასევე ესტუმრება გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალური მინისტრი. დაგეგმილია ასევე გერმანელ ბიზნესმენთა დიდი დელეგაციის სტუმრობა.

„2017 წელს საქართველოში გერმანული სოფლების დაფუძნებიდან 200 წლისთავი სრულდება. სწორედ ამ თარიღის აღსანიშნავად შევთანხმდით, რომ 2017 წელი საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლად გამოცხადდება. ამ დროისთვის, გერმანული მხარე დაინტერესებულია, რომ დასრულდეს საქართველოში გერმანული სკოლის მშენებლობა და ასევე ამ თარიღის აღსანიშნავად იგეგმება მნიშვნელოვანი ღონისძიებები“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მაია ფანჯიკიძის ინფორმაციით, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებმა, ასევე მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ახალი პაკეტის შემუშავების თაობაზე: **„იმ ინტენსიური დიალოგის გათვალისწინებით, რაც ბოლო პერიოდში ორ ქვეყანას შორის არსებობს, შევთანხმდით, ვიმუშაოთ თანამშრომლობის ახალ ფორმატზე, რომელიც ადეკვატურად ასახავს ორი ქვეყნის ურთიერთობას და მოიცავს, როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, ასევე კულტურული ხასიათის საკითხებს“.**

ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერთან შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესს. აღინიშნა, რომ გერმანია-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციისა და ნატო-ს მიერ შემოთავაზებული არსებითი პაკეტის რეალიზაციის კონტექსტში.

მაია ფანჯიკიძემ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, კერძოდ, რუსეთის მიერ აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმისთვის შეთავაზებულ მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ახალი ხელშეკრულების პროექტს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

„პირველი“

პატიმრების ფულის მითვისების მაქინაცია

როგორ „ცეხავს“ ციხის ადმინისტრაცია ბარათებიდან თვეში 20 ათას ლარს

პატიმარი №0578

სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორობა უმადური საქმეა. გარდა იმისა, რომ მუდმივად ბოროტმოქმედებთან გიწევს ურთიერთობა და არ იცი, ვინ რა ჭკუაზე შეგხვდება თავისუფლებაზე, მეორე პრობლემაცაა — ვიღაცას ნაცნობი, ახლობელი ან გავლენიანი მფარველი ჰყავს და იძულებული ხარ, შეღავათი გაუწიო. მაგალითად, ერთით მეტი გრძელვადიანი პაემნის უფლება მისცე, ზონაზე აკრძალული ნივთები (შაქარი, ცოტა მეტი ხილი, თასმებიანი ფეხსაცმელი, ქამარი) შეატანინო, თუმცა უფროსობას ხიბლიც აქვს — ფული და ამაში, მხოლოდ სოლიდური ხელფასი და პრემიები არ იგულისხმება.

პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში ფურცელზე ჩამოწერილი ციფრებით შევიდა, ნარზე ჩამოჯდა, კამერას თვალი მოავლო და დაიწყო: „ზონაზე სამი ათასამდე პატიმარი ვართ. აქედან, დღეში მინიმუმ ათი პროცენტი, ანუ სამასი კაცი მაღაზიაში ბარათს ატანს და საკვებს, სიგარეტს, ჩაის ან სხვა რამეს ყიდულობს. ბარათის მიტან-მოტანის სანაცვლოდ, ბალანდიორი, ორ ლარს ანუ ერთ კოლოფ „ვინსტონს“ იღებს. ოფიციალურად ბალანდიორის ფეხის ქირა ჰქვია ამას, მაგრამ რვავეს ვესაუბრე და თქვეს, რომ დღის ბოლოს უფლება აქვთ მაღაზიიდან ხუთი ლარის ღირებულების საქონელი აიღონ. ანუ, მათი შენახვა ადმინისტრაციას 40 ლარი უჯდება. არადა, დღეში, მინიმუმ 600 ლარი იხსნება. არ გიფიქრიათ ეს თანხა სად მიდის?!“

მაყურებლებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე კი ერთმა მშვიდად თქვა: „არის რაღაც, რაზეც იძულებულები ვართ, თვალი დავხუჭოთ. შენც შეეშვი ამ საქმეს. დღეში 600 ლარი თვეში რამდენია, ხომ ხვდები და რად გინდა, რომ ქექავ?!“

„იმად მინდა, რომ მაგალითად ჩემს „საკამერნიკ“ ლაშას კვირაში 20 ლარი ერიცხება და ამ თანხიდან ორი ლარი ეკარგება. ამ დღეში ბევრია და თქვენ უნდა აუხსნათ ზონის უფროსს, რომ ეს არ შეიძლება, თორემ ჟურნალისტებს გავაგებინებ“.

„და რით დაამტკიცებ, რომ ეს ფული ნაჩალნიკის ჯიბეში მიდის?!“

„იმას დავამტკიცებ, რომ თითო ბარათიდან ორი ლარი იხსნება და დღეში 600 ლარზე მეტი, კაცმა არ იცის, სად მიდის. თუ ციხის უფროსმა ეს არ იცის, ცალკე დანაშაულია, მაგრამ მის გარეშე ასეთ რამეს ვერ გაბედავენ. პატიმრებს უკვე ველაპარაკე და მინიმუმ ასი კაცი დაადასტურებს, რასაც ვამბობ. მოკლედ, ჟურნალისტებთან ვრეკავ“, — თქვა პატიმარმა №0578-მა და ფეხზე წამოდგა, თუმცა მაყურებლებმა შეაჩერეს.

„რჩევა თუ არ გესმის, პირდაპირ გეუბნებით, ამის გაკეთებას გიკრძალავთ, პალაჟენია გაფუჭდება“.

„რომელი პალაჟენია, ვიღაც პატიმრის ფულს ჭამს და პალაჟენიაზე მელაპარაკებით?!“, — გაბრაზდა №0578.

„შენ რა რამკების მტვრევა დაიწყე? კაიბიჭობაზე, როგორც ვიცით, პრეტენზია არ გაქვს და რატომ ერევი?!“, — მაყურებლებს ხმაში გაღიზიანება და სიბრაზე დაეტყოთ.

„ხომ არ ვამბობ, რომ თქვენ ჩამახედოთ საერთოში და ყოველი თვის ბოლოს შეგროვილი ხუთი ათასამდე კოლოფი სიგარეტისა და ჩაის მიმართულება მანახოთ, მე ციხის ადმინისტრაციას ვერჩი“, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ თქვა პატიმარმა და ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა.

„შენ რა, პრეტენზიებს გვიყენებ?! ახლავე სხადნიაკს შევკრებთ და ახსნი, რა პრეტენზია გაქვს ჩვენთან. თუ ვერ ახსნი, მაგრად დაილეწები და კაზლიატნიკშიც გაგიშვებთ“, — იღრიალა მაყურებელმა. ათ წუთში მათ კამერაში მთელი ზონის „ბლატატა“ შეიკრიბა. მაყურებლებმა საგულდაგულოდ დამალული „ობშჩიაკის“ რვეული ამოიღეს, პატიმარს მიუგდეს და უთხრეს — გადახედე და გვითხარი, აგროვებული სიგარეტიდან და ჩაიდან რა არის დაკარგული?!

№0578-მა მშვიდად გადაფურცლა რვეული, დაახლოებით ათი წუთი უხმოდ ათვალიერა და დაიწყო — ზონაზე 108 ბედალაგა ანუ უპატრონო პატიმარი გვყავს. თითოეულს კვირაში ერთი კოლოფი ჩაი და შვიდი კოლოფი ასტრა ერგება, ანუ სულ ექვსლარნახევარის პესნიაა. მთლიანობაში ეს თანხა 700 ლარია. პატიმრებისგან კი ათი ათას ლარზე მეტის სიგარეტი და ჩაია აკრეფილი. მარტივი ლოგიკაა — მინიმუმ ცხრა ათასი ლარი ჰაერშია, მაგრამ მე ეს კი არა, ის მაინტერესებს, სად მიდის ადმინისტრაციის მიერ თვის ბოლოს აკრეფილი ოცი ათასი ლარი...

„კაიბიჭებმა“ ერთმანეთს გადახედეს, მერე კი ერთ-ერთმა მშვიდად თქვა: „პატიმრებიდან აგროვებული სიგარეტის ნაწილი ბალნიჩკაზე მიდის, იქ მყოფ პატიმრებს წამლების საყიდლად უჭირთ ფულის მოძიება და შესაბამისად, უნდა დავეხმაროთ. ნაწილი კარცერში და ნაწილი კიდევ ობშჩიაკში დევს, ზონაზე რომ იტრიალოს, მაგრამ სხვაობა მაინც დიდია და მეც მაინტერესებს, სად მიდის ეს სიგარეტი. მაყურებელი ექვსი თვეა ხარ, ანუ საუბარი მინიმუმ ორმოცა ათას ლარზეა და გისმენთ“...

ვითარება ძალიან დაიძაბა. მაყურებელმა არაადამიანური ხმით იღრიალა და №0578-სკენ გაექანა, მაგრამ შეაჩერეს, ჯერ ახსენი და თუ საცემია, ჩვენ ვცემთო. მაყურებელმა იფეთქა, ვის აჩერებთ, თუ ხვდებითო, მაგრამ „ბლატატა“ უკანდახევას არ აპირებდა. ყველაფერი ათ წუთში დასრულდა — კამერაში ოფიცრები შემოვიდნენ და მაყურებელი გაიყვანეს. მას შემდეგ იგი ზონაზე აღარავის უნახავს, თვის ბოლოს კი დაწესებულებაში მხოლოდ ათასი ლარის სიგარეტი და ჩაი აგროვდა, თუმცა...

„რატომ არ გინდათ, ადმინისტრაციას ავახსნევინოთ იგივე?! და საერთოდ, გაირკვა, სად მიდიოდა აქ აგროვებული სიგარეტი? მაყურებელი კი არა, ზონიდან ამ სიგარეტის გასაყიდად ვერავინ გავა, თან ამდენი საქონელი მარტივი გადასატანი არ არის. მოვითხოვოთ, მოვიძიოთ“, — №0578 ახალი მაყურებლების კამერაში იჯდა.

„ადმინისტრაციას ვერაფერს ვუხერხებთ, არ ვიცით, სად და როგორ მიდის ჩვენგან ამოღებული სიგარეტი. ვისაუბრეთ ამ თემაზე, მაგრამ სიტყვაზე გვენდე, არაფერი გამოვიდა. ზონაზე როცა ფული ტრიალებდა, პალაჟენიას ფულით ვიკავებდით, ახლა კი ეს სიგარეტმა ჩაანაცვლა. რამე თუ არ გადავუგდეთ, ისე არაფერი გამოვა და ეს „რამე“, ამ ეტაპზე, თვეში 20 ათასია. ვის ჯიბეში მიდის, ვერ გეტყვი, მაგრამ რომ მიდის, ფაქტია. სანაცვლოდ, კარცერში ჩასულ სიგარეტსა და ჩაიზე თვალს ხუჭავენ და სხვა გზა, უბრალოდ, არ არის“.

„თვეში ოცი ათასად ციხის ნაჩალნიკი კი არა, ფოთის პოლიცმეისტერის ცოლი გაიხდის, ხომ იცით. ძალიან ბევრია. გავანახევროთ, ორი ბარათიდან მოიხსნას ერთი სიგარეტი ან სამიდან, ასე არ შეიძლება. გეუბნები, რომ მინიმუმ ას პატიმარს დავაწერინებ განცხადებას და ხელსაც ლამაზად მოაწერენ“, — არ ცხრებოდა №0578.

„ფოთის პოლიცმეისტერის ცოლი რა შუაშია?!“, — გაოცდა მაყურებელი.

პატიმარმა მაყურებლების ბიბლიოთეკას გადახედა, ფროიდის, სტენდალის, გამსახურდიას, გალაკტიონისა და სხვათა წიგნების გვერდით ჭაბუას „დათა თუთაშხიაც“ იდო. წიგნს ხელი გადაუსვა, თავი გაიქნია და მშვიდად უთხრა — არაფერი, ისე გამახსენდა... მაგრამ 20 ათასი მაინც ბევრია... თუნდაც ზონის უფროსისთვის...

ვერსიანიუსი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სტრატეგიის ფარგლებში, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ინფორმირება ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებისა და შედეგების, ასევე, მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის საზოგადოებასა და სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, შსს-მ ორგანიზებული დანაშაულის შესახებ საინფორმაციო ფლაერები მოამზადა. აღნიშნული ფლაერები მოსახლეობაში უბნის ინსპექტორებმა გაავრცელეს და საზოგადოებას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს, შეიმუშავა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 2 ოქტომბერს დაამტკიცა. სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას და შესაბამისად, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

„ვერსიანიუსი“

„წელიწადზე მეტია ვამბობ, ლოთი ქობალია მომკლავს-მეთქი, მაგრამ გამოძიება ჯანჯღლდება“

ძალადობის მსხვერპლი ჟურნალისტი თამილა ლომიშვილი სსს-სთან უვადო შიმშილობას იწყებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

განათლების დაბალი დონე, პატრიარქის ქადაგების მახინჯი ინტერპრეტაცია, რომ ოჯახის თავი კაცია, ქალი კი მორჩილი უნდა იყოს, ტრადიციები, მძიმე სოციალური ფონი და ქალების ცემაზე დახარჯული უმუშევარი კაცების ენერგია — ქვეყანას, სადაც ოდითგანვე ქალის კულტი არსებობდა, დღეს ახალი სახადი, ქალთმოძულეობა შეეყარა. ოღონდ ამ სენს კაცები იხდიან და ქალები იღუპებიან. ამ სახადს საკმაოდ ცნობილი, სიყვარულის 20-წლიანი ისტორია ზედმიწევნით ერგება. ეს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გმირის, ლოთი ქობალიასა და ჟურნალისტის, თამილა ლომიშვილის სიყვარულის ისტორიაა, რომელიც ზუგდიდში დაიწყო და ანაკლიაში დასრულდა. დეტალებზე „ვერსიას“ ისტორიის მთავარი გმირი და მოძალადე კაცის აგრესიის მსხვერპლი თავად უამბობს. საგულისხმოა, რომ სხვა კლასიკური შემთხვევებისგან განსხვავებით, ლომიშვილმა სახალხო დამცველის ოფისსაც მიმართა, მას მეგობრები, ყოფილი კოლეგები და არასამთავრობო ორგანიზაცია, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი“ დაეხმარა, ბოლოს საქმე პოლიციასაც გადაეცა, თუმცა გამოძიება წელიწადზე მეტია ჯანჯღლდება და ლოგიკური დასასრული არ უჩანს — თბილისისა და ზუგდიდის პოლიცია არ რეაგირებს! თამილა ლომიშვილი ექსკლუზიურად გვიმხელს, რომ, თუ ერთ კვირაში არაფერი შეიცვალა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ უვადო შიმშილობას დაიწყებს.

— ყველა მიზეზი, რითაც ცოლების გახშირებულ მკვლელობას ხსნიან, კომპლექსურად მუშაობს. ესაა ტრადიციაც, სოციალური ფონიც, მაგრამ ყველაფრის თავი მაინც სახელმწიფოა. როცა კანონი არ კანონობს, ძალადობაც ნელ-ნელა მძლავრდება. დღეს ყველა მოძალადე წახალისებულია დაუსჯელობის გამო, ამ პრობლემისადმი კი საზოგადოებაც ინერტულია და ქალის ნათესავებიც. თუ ქალს ძლიერი ჭირისუფალი არ ჰყავს, რომელიც მოძალადე მამაკაცს პასუხს მოსთხოვს, ქალი ძალადობის მსხვერპლი ხდება. ყველაფერი აქედან იწყება.

— იქნებ ყველაფერი იქიდან იწყება, რომ ქალმა არასწორი არჩევანი გააკეთა ან გონს დროულად ვერ მოეგო და ტერორში წლები ცხოვრობდა?

— ასე არ ვფიქრობ. შეიძლება, თავისუფალი არჩევანიც გქონდეს, მაგრამ მაინც არ გაგიმართლოს. ჩემს პირად მაგალითს მოგიყვებით — 23 წელი ლოთი ქობალიასთან ერთად ვიცხოვრე. 20 წელი იგი არაჩვეულებრივი, ფანტასტიკური მამაკაცი იყო, ბოლო 3 წელი კი, როცა მის სამშობლოში, ანაკლიაში წავედით, სხვა რეალობა დაიწყო. იქ არავის ვიცნობდი და ჭაობში ბოლომდე ჩამაყვინთვინა.

— საერთოდ, როგორ გაიცანით ქობალია და 23 წელი რატომ დაგჭირდათ იქამდე მისვლა, რომ მოძალადესთან ერთად არ უნდა გეცხოვრათ?

— ზვიად გამსახურდიას დამხობის პერიოდში, სამეგრელოში სტუდენტური აქციები დაიწყო. მაშინ 26 წლის ვიყავი, მაგრამ მამაკაცთან ურთიერთობის არანაირი გამოცდილება არ მქონდა, ჩემი მშობლები ისე კარჩაკეტილად მზრდიდნენ. ლოთი პირველი მამაკაცი იყო ჩემთვის. ბარიერს მიქმნიდა, რომ ოჯახი ჰყავდა, მაგრამ მხოლოდ თავიდან. ეროვნული მოძრაობა და ეროვნული გმირის რანგში აყვანილი ქობალია რომ არა, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა. მე ეროვნული გმირი შემიყვარდა და არა ურჩხული! სიყვარული გაგანია ომში ამიხსნა და მაშინ ეს ძალიან რომანტიკულად მეჩვენებოდა. 20 წელი ჩვენი ურთიერთობა ისეთი ლამაზი იყო, ასეთ დასასრულს სიზმარშიც ვერ დავუშვებდი. ჩემი შემთხვევა არასტანდარტულია. არიან ქალები, ვინც 20 წელი რაღაცას ბავშვების, უსახლკარობის, სირცხვილის გამო ითმენს, მე კი 20 წელი სრულ იდილიაში ვიცხოვრე. აი, ბოლო 3 წელი იმიტომ მოვითმინე, რომ მეშინოდა, მრცხვენოდა და არც წასასვლელი მქონდა. სხვა ქალებთან შედარებით, ჩემი მდგომარეობა უარესი იმით იყო, რომ ჟურნალისტი ვიყავი.

— განათლებული, დასაქმებული, პროფესიონალი იყავით და ეს ყველაფერი შეყვარებული ქალის ფსიქოლოგიამ გადაწონა?

— გჯერათ, რომ ჩემთვის მის გარდა მამაკაცი არ არსებობდა?! მერე ლოთი დაიჭირეს და ამან კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი ერთგულება და სიყვარული მისდამი. მას ბევრ რამეს აბრალებდნენ, მაგრამ მისი მწამდა და მჯეროდა.

— მას აბრალებდნენ დავით ბოლქვაძის მკვლელობას.

— ეს არასოდეს დამიშვია. არც კი ვფიქრობდი, რომ ლოთიმ ვინმე მოკლა, დახვრიტა. მე ხომ ეს მკვლელობები ჩემი თვალით არ მინახავს და არ ვიცი, მოხდა თუ არა.

— თქვენ მან არ გამოგიყენათ, როგორც ჟურნალისტი?

— ამას ახლა მივხვდი, ბოლო 3 წლის განმავლობაში. არა მარტო ბოლქვაძის მკვლელობის თემაზე, არამედ აბსოლუტურად ყველაფერში. დიახ, მან ყველა საკითხში გამომიყენა, როგორც ჟურნალისტი! შეყვარებული ქალის ფსიქოლოგიაც

ეგაა — რაც მეტად უჭირს შენს საყვარელ ადამიანს, მით მეტს აკეთებ მისთვის.

— ამ 20 წლის განმავლობაში არავინ გაფრთხილებდათ?

— ერთადერთხელ მითხრა მისმა დამ, ეთერ ქობალიამ, მეტსახელად „შუმამ“, ლოთის არ უყვარხარ, გატყუებს, რადგან სხვა გზა არ აქვსო და ტირილი დაიწყო. ამის მერე მან და ლოთიმ კარგა ხნით გაწყვიტეს ურთიერთობა. მისი მეორე და ნანული ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეს ამბავი არ მოხდებოდა, მისი მესამე და, ნონიკო კი ახლაც ცოცხალია. სამივეს ძალიან ვუყვარდი. ნონიკო, რომელსაც ინსულტი დაემართა, ანაკლიაში ცოტა ხნით ჩვენთან დარჩა და შეესწრო, როგორ გამომეკიდა ლოთი ნაჯახით. მაშინ ნონიკოს ამოვეფარე და ასე გადავრჩი.

— მოკლედ, 20-წლიანი სამოთხის მერე 3-წლიანი ჯოჯოხეთი დაიწყო. საერთოდ, ანაკლიაში რატომ წახვედით და თბილისში თქვენს ბინას რა ბედი ეწია?

— ანაკლიაში ყოველდღე სისხლის ცრემლებით ვტიროდი. ლოთი იქ მამუშავებდა. თბილისიდან საქონელი მეც წავიყვანე და იქაც დამხვდა. გვყავდა 100-მდე თხა, 42 ღორი, 25 ძროხა და 12 ცხენი და ამ ყველაფერს მარტო ვუვლიდი. დიდუბეში ბინა გავყიდე, რადგან ლოთის სულ იმდენი სტუმარი ჰყავდა, ვერ ვეტეოდით. ვიყიდე კერძო სახლი მუხიანში, მაგრამ ლოთიმ, გამიყიდა. როგორც გავიგე, მის შვილს სჭირდებოდა ფული. მას მერე, რაც ანაკლიაში წავედით, ნელ-ნელა ჯერ ყვირილი დამიწყო, მერე გინება, მერე ხელითაც შემეხო... წიხლებს მირტყამდა მუცელში, მკერდში, თავში, სახეში. ერთხელ მცემა, ორჯერ, მესამედ უკვე თავპირდასიებული საავადმყოფოში აღმოვჩნდი. ამ დროს, 100 დედის ტოლფასი ამაგი მაქვს მასზე. ლოთი ქობალია აქამდე მე ვაცოცხლე და რას წარმოვიდგენდი, ბოლოს ასე თუ მომექცეოდა.

— 3 წელი დიდი დროა. როდის და როგორ გადაწყვიტეთ წამოსვლა?

— ამ ამბავს ჩემს მეგობრებსა და ნათესავებს ვუმალავდი. მეგობრები ხშირად მირეკავდნენ. ბოლოს, როცა უკვე ცრემლნარევი, დაძაბული ხმით ვუთხარი, ვიჩხუბეთ-მეთქი, ყველაფერს მიხვდნენ. მერე ერთ-ერთ მეგობართან გამოვიპარე ორი დღით თბილისში. უკან დაბრუნებას არ მირჩევდნენ. მე კი საქონელი მეცოდებოდა და ანაკლიაში დავბრუნდი. მითხრეს, წამოდი და დაგეხმარებითო და ეს ნაბიჯი ამან გადამადგმევინა. არც ჩემმა ოჯახმა იცოდა რამე, დეიდაჩემმაც გაზეთი წაიკითხა მეზობელთან და ეს ამბავი ისე შეიტყო. თუმცა ვფიქრობ, ჯერ არაფერი დამთავრებულა და მაინც მისი მსხვერპლი გავხდები. ჩემზე კარგად მას არავინ იცნობს, არაა საჭირო, მისი ხელით მოვკვდე, თავში ან ნაჯახი ჩამარტყას, ან დანით ყელი გამომჭრას. შეიძლება, სულ სხვა ადამიანი მომიგზავნოს და სოციალურ ქსელში ამის მცდელობა უკვე იყო. რამდენი ქალის სიკვდილს გავიგებ, მგონია, რომ შემდეგი უნდა ვიყო.

— არსებობს თავის დაცვის მექანიზმები: პოლიცია, ომბუდსმენი, თუნდაც ის, რასაც ახლა ვაკეთებთ — საჯარო ინტერვიუ და პრევენცია.

— წელიწადი და ერთი თვეა საქმე აღძრულია და გამოძიება მიდის. შედეგი არ არის. ზუგდიდში მარტო მამაკაცური კი არა, მეგრულ-სეპარატისტული სოლიდარობა გამოუცხადეს ქობალიას. ბოლო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატისგან კონსულტაციებს ვიღებდი და მათ, ჩემგან დამოუკიდებლად, საქმე პოლიციაში აღუძრავთ. დაკითხვაზე ყველაფერი მოვყევი. ქობალია სამჯერ დაკითხეს. პირველ ჩვენებაში ამბობს, თამილა ლომიშვილი ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და უბრალო ნაცნობია, რომელიც მირეკავს, მაწუხებს და სასიყვარულო მესიჯებს მიგზავნის, მე კი არ ვხვდები, რადგან ფსიქიკურად დაავადებულიაო. მეორე ჩვენებაში ამბობს, უსახლკარო ქალია, რომელიც შევიფარეო. მესამე ჩვენებაში ყვება, თამილა დამემუქრა, თუ ცოლად არ მომიყვან, შენს თავს დავაჭერინებო. ჯერ ერთი, ცრუ ჩვენებისთვის ქობალია არავის დაუსჯია და არც მისი მეზობლები დაუკითხავთ სიმართლის დასადგენად და მეორე — ეს განცხადება უკვე ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვაა. ამის მერე, სახალხო დამცველმა საქმე გენინსპექციას გადასცა და ამის გამო სამმა ზუგდიდელმა გამომძიებელმა სასტიკი საყვედური მიიღო, ორჯერ დაიწყო ხელახალი გამოძიება, მაგრამ მაინც არაფერი შეცვლილა. ახლაც ველაპარაკე პოლიციას და ყველაფერი ისევ იმ ეტაპზეა გაყინული.

— კი მაგრამ, რატომ?

— იმიტომ, რომ ლოთი ქობალიასი ეშინიათ, რადგან ყველაფერზე წამსვლელია. ზუგდიდში, შინაურ წრეებში რომ იკითხოთ, მის კაცობაზე უჩემოდაც ბევრს გიამბობენ.

ვიცი, რა ურჩხულსაც დავუპირისპირდი, მაგრამ მანაც იცის ჩემი ხასიათი და ისიც, რომ არაფერს ვაპატიებ — ჩავძირავ და ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან. მთელი ცხოვრება ნაქირავებში რომ დავრჩე და სახლი არ მეღირსოს, არც ეგ მინდა, ოღონდ პასუხი აგოს თავის საქციელზე. ეს შურისძიება არ არის, სამართლიანობის აღდგენა მინდა! ქალზე ხელს რომ აღმართავს, ესაა ეროვნული გმირი?! ალბათ, პოლიცია ელოდება, როდის მომკლავს, რადგან მისი ეშინიათ — თავიდან მოიშორებენ, თუ მომკლავს პირდაპირ ციხეში ჩასვამენ. მე იმის მაგალითიც ვიყავი, როგორ უნდა უერთგულო საყვარელ ადამიანს, ახლა კი იმის მაგალითი ვიქნები, როგორ უნდა დასაჯო საყვარელი ადამიანი! ყველა ქალს მოვუწოდებ, ნუ მოითმენენ აგრესიას ნურავის და ნურაფრის გამო! დროულად წამოვიდნენ მოძალადისგან! დღეს ქალები იმას ვერ ასხვავებენ, რა არის მონობა და რა მორჩილება. როცა სახელმწიფო, კანონი და პოლიცია არაფერს აკეთებს, სხვა გამოსავალი არ მრჩება — თუ ამ კვირაში ეს ფარისევლური გამოძიება არ დასრულდება, მომავალი კვირიდან სსს-სთან შიმშილობას დავიწყებ! შიმშილით სიკვდილი მირჩევნია, ურჩხული ლოთი ქობალიას ხელით სიკვდილს!

ვერსიანიუსი

2015-ს ქალის წლად გამოაცხადებენ?

საქართველოს პრეზიდენტი სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საუბრის მთავარი თემა ბოლო დროს ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებული ფაქტები და მათი პრევენცია იყო. ქვეყნის პირველმა პირმა სასულიერო ლიდერების მოსაზრება მოისმინა, როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის მოგვარება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია კომპლექსური სამუშაოების შესრულება. ისაუბრეს ამ მხრივ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაზე. ითქვა ისიც, რომ ამ პრობლემას სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. სასულიერო პირების განცხადებით, მრევლთან ამ მიმართულებით უფრო აქტიურად იმუშავებენ.

„ჩვენ შევხვდით საქართველოში მოღვაწე სასულიერო ლიდერებს იმ ტრაგედიებთან დაკავშირებით, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა. ერთმანეთს გავუზიარეთ ტკივილი და გადავწყვიტეთ, რომ, უპირველესად, ჩამოვაყალიბოთ სამოქმედო გეგმა, უფრო გრძელვადიანი. იყო ასეთი იდეაც, რომელსაც მე მხარი დავუჭირე, რომ 2015 წელი გამოცხადდეს ქალის წლად და ამ ძალიან დიდ პრობლემას ერთობლივად დავუპირისპირდეთ. ერთი მხრივ, ჩემს რიტორიკაში ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ ამ პრობლემას. მეორე მხრივ, თავის ქადაგებაში ყველა სარწმუნოება გააააქტიურებს ამ საკითხს. მესამე — ჩვენი შეხვედრა დავიწყეთ იმით, რომ ჩვენ ავიღეთ ის წილი პასუხისმგებლობა, რომელიც აქვს სახელმწიფოს. თუმცა, გავიაზრეთ ისიც, რომ მარტო სახლმწიფო ამას ვერ დაძლევს და საჭიროა ერთად დგომა. იმედი მაქვს ეს პოზიტიურად აისახება პრობლემის მოგვარებაზე“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. შეხვედრას პირველი ლედი მაკა ჩიჩუაც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი.

„ინტერპრესნიუსი“

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

ებოლა — რეალური საფრთხე თუ გლობალური აფერა

ტემპერატურის უეცარი მატება, თავის, ყელისა და კუნთების ტკივილი, ღებინება, დიარეა, გარეგანი და შინაგანი სისხლდენა, გამონაყარი... ეს ებოლას ვირუსის მახასიათებელი ნიშნებია... რეალობა დღითიდღე შემზარავი ხდება და ვირუსის გავრცელების არეალიც სულ უფრო მასშტაბურია... რა პრობლემის წინაშე დადგა მსოფლიო — ებოლას ვირუსი — რეალური საფრთხე თუ მსოფლიო ფარმაცევტული გიგანტების მორიგი აფერა, ან იქნებ რუსეთის იარაღი ევროპის წინააღმდეგ? სპეციალისტთა შეფასებები და პროგნოზები არაერთგვაროვანია, თუმცა ყველა ვერსიას უდავოდ აქვს არსებობის უფლება. აჯობებს, ქრონოლოგიურად მივყვეთ და ის ვარაუდი თუ პროგნოზები შემოგთავაზოთ, რასაც მსოფლიოს სპეციალისტები უკვე ღიად აფიქსირებენ.

ებოლა — რუსეთის იარაღი ევროპის წინააღმდეგ

Die Welt აქვეყნებს სტატიას სათაურით — „რუსეთმა ებოლას ვირუსი იარაღად აქცია“, სადაც საუბარია იმაზე, რომ 1972 წლის აპრილში მსოფლიოს 170-მა ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა კავშირმა და აშშ-მ ხელი მოაწერეს კონვენციას, რომელიც ითვალისწინებდა ბიოლოგიური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და გამოყენების აკრძალვას, მაგრამ... **„მაშინ, როცა აშშ ხელშეკრულების ყველა პირობას ბოლომდე ასრულებდა (ამერიკის პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა ბაქტერიოლოგიური იარაღი უკანონოდ გამოაცხადა ჯერ კიდევ 1969 წელს), საბჭოთა კავშირმა 1973 წელს დაიწყო ბაქტერიოლოგიური იარაღის აგრესიული პროგრამის შემუშავება სახელწოდებით — ბიოპრეპარატი“.**

Die Welt პროექტის ხელმძღვანელს — კანატჟან ალიბეკოვს (დასავლეთში ცნობილია სახელით კენ ალიბეკი) ესაუბრება, რომელიც 1992 წლიდან ამერიკაში ცხოვრობს. სწორედ ალიბეკი შიფრავს ამ პროექტის საიდუმლოს და აცხადებს, რომ ბიოპრეპარატი 1942 წელს შემუშავებული ატომური იარაღის ამერიკული პროგრამის „მანჰეტენის პროექტის“ საბჭოთა ანალოგი იყო. **„საბჭოთა პროგრამა ასეთივე მასშტაბური და გასაიდუმლოებული იყო, რომელშიც 6 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა... საბჭოთა კავშირი, დაიწყო რა წარმოება ბიოლოგიური საომარი იარაღისა, გახდა ერთადერთი უმსხვილესი „ბაქტერიოლოგიური დერჟავა“ მსოფლიოში“**. შედეგად, საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს რამდენიმე ვირუსი და მათგან ქმნიდნენ საომარ ნიმუშებს, მათ შორის იყო მომაკვდინებელი ვირუსი ებოლა, რომლის წინააღმდეგაც ჯერ კიდევ არაა შემუშავებული ვაქცინა. სსრკ-ს კი შტამები ბელგიის ინსტიტუტმა გადასცა, რომელიც ტროპიკული მედიცინით იყო დაკავებული. 1980-იან წლებში, „ბიოპრეპარტმა“ დაიწყო ვირუსის სამხედრო ვერსიაზე მუშაობა და დაიწყო ბიოლოგიური იარაღის შემუშავების ახალი ერა საბჭოთა კავშირში — საბჭოთა მეცნიერებმა ისწავლეს გენებით მანიპულირება და უკვე ნაცნობ ვირუსებში სხვა გენების შეყვანა, რაც, ფაქტობრივად, მოქმედების უსაზღვრო არეალს აძლევდა მათ. ასე შეაჯვარეს ებოლას ვირუსი შავ ჭირთან და, ალიბეკის თქმით, მიიღეს ახალი, უფრო საშიში და ბევრად მდგრადი ვირუსი, სახელწოდებით „ქიმერა“. და ახლა, როცა დასავლეთი რუსეთს სანქციას სანქციაზე უწესებს უკრაინაში შექმნილი მდგომარეობის გამო, რა გასაკვირია, „დერჟავას“ სწორედ ბიოლოგიური იარაღით დაერტყა მსოფლიოსთვის, კუნთების თამაშით მოეთოკა დასავლეთი და კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, რომ ვისაც იარაღი აქვს, პირობებსაც ის აყენებს?!

დასავლეთი აფრიკის წინააღმდეგ

4 555 გარდაცვლილი და 9 216 ინფიცირებული! — ასეთია შემზარავი სტატისტიკა — ებოლას ვირუსი საკმაოდ სწრაფად ვრცელდება და მალე ევროპასაც მიუკაკუნებს. გავრცელების ალბათობა საფრანგეთში 75 პროცენტია, ინგლისისთვის ეს მაჩვენებელი 50%, ასეთი ვარაუდის საფუძველი კი ის გახლავთ, რომ ვირუსი შეიძლება გადაიტანონ თვითმფრინავით ან მატარებლით, რადგან ამ ეტაპზე არ არსებობს ყველა მგზავრის შემოწმების საშუალება, — ასეთია ბოსტონელი მკვლევარების პროგნოზი, რომელთაც დაასკვნეს, რომ ევროპაში ვირუსი აუცილებლად გავრცელდება, საკითხავი მარტო ისაა, ვის უფრო მეტად გაუმართლებს. მიიჩნევენ, რომ რისკის ზონაში საფრანგეთი და ბრიტანეთია, რადგან აქ აფრიკიდან მიგრაციის ყველაზე დიდი ნაკადია. თუმცა არ ცხრება ჭორები, რომ ებოლა ხელოვნური დაავადებაა, რომელიც პენტაგონმა შექმნა სპეციალურად აფრიკისთვის — მიზეზი მარტივია და თუ დავფიქრდებით, რომ მიზანი საშუალებას ამართლებს, გამორიცხული ნამდვილად არაფერია.

იყენებს თუ არა ვირუსს რუსეთი ევროპის, ამერიკა კი აფრიკის წინააღმდეგ და ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს მოსახლეობას?

აფრიკა საკმაოდ მდიდარია — კობალტი, ალმასი, ურანი, ვოლფრამი, სპილენძი, ნახშირი, მარგანეცი, ოქრო, ვერცხლი... ნაკლებად მოიძებნება ქვეყანა, რომელიც ამ ყველაფრის ხელში ჩაგდებას არ მოისურვებდა, მეპატრონეთა ლიკვიდაციით და თან ისე, რომ ინფრასტრუქტურა — ჭაბურღილები და ნავთობმომპოვებლები... არ დაზიანებულიყო. აივ ინფექციაზე ფსონმა არ გაამართლა — აფრიკელები „ჯიუტად“ მრავლდებიან და თანაც ინფექცია მსოფლიოს მოედო... ალბათ ამიტომაც გადაწყვიტეს, მთლიანად კონტინენტისთვის დაერტყათ ებოლას საშუალებით, რომელიც ორ კვირაში სპობს ადამიანს — სიკვდილიანობა — დაავადებულთა 90 პროცენტი — ეს კი საუკეთესო გამოსავალია უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის. კონსპიროლოგები საეჭვოდ მიიჩნევენ ფაქტს, რომ მეცნიერებისთვის უცნობი დაავადება არსაიდან გაჩნდა ნავთობით მდიდარ სუდანსა და ზაირში.

„ებოლა — რეალური საფრთხე თუ გლობალური სიცრუე“

ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას NEWS-MAIL,სადაც საეჭვოდ მიიჩნევენ ფაქტს, რომ ამ ვირუსის წინააღმდეგ ვაქცინის შექმნა 2012 წლამდე არც უცდიათ, თუმცა აფრიკაში 1976 წელს დაავადებულთა რაოდენობა 2000 იყო, ეს კი სათანადო მოტივაცია არ არის ვაქცინის შესაქმნელად, მით უმეტეს, თუ დაავადებულთა უმრავლესობა გადახდისუუნაროა და მკურნალობის ხარჯს ვერ ფარავს. აქედან გამომდინარე, სამედიცინო კორპორაციებს თავიც არ შეუწუხებიათ ვაქცინის შექმნისთვის — წამგებიანია (?!). ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი კი კერის სწრაფად ჩაქრობას უწყობდა ხელს — სწორედ ამ ფონზე უფრო გასაოცარი იყო, რომ 21-ე საუკუნეში ეპიდემიის გავრცელებისთანავე, მართალია, ექსპერიმენტული, მაგრამ ვაქცინა აშშ-ში უკვე შექმნეს. ებოლაც არა და არ ცხრება, დასავლეთი კი კვლავ აპელირებს, რომ გადაადგილების თავისუფლებას ვერავის შეუზღუდავენ და არ წყვეტენ აფრიკასთან მიმოსვლას — თითქოს ყველანაირ პირობას ქმნიან, ვირუსმა მაქსიმალური არეალი აითვისოს. რატომ? უხეშად რომ ვთქვათ — არსებობს საქონელი (ვაქცინა!) და უნდა შეიქმნას გასაღების ბაზარი, რომელიც აუცილებლად გადახდისუნარიანი იქნება. გლობალური პანიკა და ისტერიკა კი საუკეთესო ფონია საკუთარი „ჯადოსნური წამლის“ შესათავაზებლად, მით უფრო, გასასაღებლად. მერე რა, რომ ის ჯერ კიდევ არაა სრულად გამოკვლეული? ალტერნატივა მაინც არ არსებობს, მასობრივი ისტერიკა კი ხელისუფლებაზე ზეწოლის საუკეთესო იარაღია.

არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს არცთუ შორეულ წარსულში გავრცელებულ „ღორის გრიპს“, როცა ერთადერთი ხსნა „ტამიფლუ“ იყო და მსოფლიოში ისეთი დეფიციტი შეიქმნა, მწარმოებლებმა მილიონები იშოვეს, დღეს კი პრეპარატი ნებისმიერ აფთიაქში იყიდება.

ასეთი ვარაუდი ინტერნეტსივრცეში უამრავია და არსებულ ვითარებაში არაფრის გამორიცხვა შეიძლება — რატომ იტყოდა უარს რუსეთი დასავლეთისთვის ჭკუა ესწავლებინა? ან, რატომ არ მოისურვებდა დასავლეთი აფრიკის სიმდიდრის ხელში ჩაგდებას? ან, თუნდაც რა მიზეზით შეიძლება გამორიცხოს უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიების აფერა საკუთარი ჯიბის კიდევ რამდენიმე მილიონით გასასქელებლად? ამ ფონზე არც საქართველოს აქვს სიმშვიდის საფუძველი — რამდენიმე დღის წინ უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხომალდ „კარნივალ მეჯიკზე“, სადაც საქართველოს ოთხი მოქალაქე იმყოფებოდა, სავარაუდოდ, ებოლას შემთხვევა დაფიქსირდა. მართალია, ინფორმაცია არ დადასტურდა და ოფიციალურად განაცხადეს, რომ მგზავრების დაავადების რისკი, ფაქტობრივად, არ არსებობს, რაც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემაც დაადასტურა, მაგრამ გარანტია — ვირუსი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არ შემოაღწევს — ნამდვილად არ არსებობს. ერთ-ერთი პრევენციული ზომა საზღვრების გადაკეტვა იქნებოდა, თუმცა ჯანდაცვის მინისტრის აზრით, ამ ეტაპზე მსგავსი საჭიროება არ დგას. გარდა ამისა, ვირუსის გამოვლენის შემთხვევაში ჯანდაცვის სისტემა რეაგირებისთვის აბსოლუტურ მზადყოფნას გამოთქვამს მედიკამენტოზური და სტაციონარული კუთხით. დავით სერგეენკოს განცხადებით, მაღალი რისკის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორები განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ ჰყავთ და რამდენიმე პირს უკვე აკვირდებიან კიდეც, რომლებიც ნიგერიიდან შემოვიდნენ — მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამ ეტაპზე მხოლოდ მსგავსი რეკომენდაციებით შემოიფარგლება, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, სასწაულის იმედი გვქონდეს, რადგან რეალობა სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა — საქართველომ ხომ დღემდე ვერ გაარღვია განვითარებადი ქვეყნების ჩაკეტილი წრე და არც იმისგან ვართ დაზღვეულნი, ერთ არამშვენიერ დღეს, საცდელი პრეპარატი შემოიტანონ „მხსნელი ვაქცინის“ სახით (როგორც ეს 2008 წელს ფორსმაჟორში წითელას საწინააღმდეგო ვაქცინის შემთხვევაში მოხდა) და ჩვენი შვილები საცდელ კურდღლებად გამოიყენონ ძლიერთა ამა ქვეყნისა, ვინც სხვის უბედურებაზე ყოველთვის ძალიან დიდ ფულს შოულობს!

ვერსიანიუსი

სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად 10 წლის ბავშვი გარდაიცვალა

იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად 10 წლის ბავშვი გარდაიცვალა. პაციენტი ქარელის რაიონიდან ძმასთან ერთად იაშვილის კლინიკაში რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობა. კლინიკის ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში რჩება სოკოთი მოწამლული მისი ძმაც.

იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში აცხადებენ, რომ ბოლო დღეებში სოკოთი მოწამვლის ფაქტებით კლინიკაში მიმართვიანობამ იმატა. კლინიკიდან 5 ბავშვი უკვე გაეწერა, თუმცა საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში ამ დრომდე სოკოთი მოწამლული 7 პაციენტი რჩება.

რამდენიმე დღის წინ სოკოსგან მოწამვლით კიდევ ერთი ბავშვი გარდაიცვალა.

ტოქსიკოლოგები მოსახლეობას აფრთხილებენ, თავი შეიკავონ ტყეში დაკრეფილი სოკოს მიღებისგან.

„ინტერპრესნიუსი“

ყოფილი პარლამენტარი და ბიზნესმენი თაღლითების მსხვერპლი გახდა

თამაზ დაუშვილი სამართლიანობის აღდგენას უზენაეს სასამართლოში ელის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ბიზნესმენი თამაზ დაუშვილი, რომელიც „იოლი ჯგუფის“ მფლობელი იყო, თაღლითობის მსხვერპლია. შვიდი წლის წინ, დაუშვილს დავით და აკაკი ენუქიძეები დაუკავშირდნენ და საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა შესთავაზეს. მხარეები შეთანხმდნენ, ამხანაგობა „არენა სითი“ დააფუძნეს და მარშალ გელოვანის გამზირზე, კორპუსის მშენებლობა დაიწყეს. მშენებლობისთვის საჭირო თანხა ენუქიძეებს უნდა მოეძიათ, მოიძიეს კიდეც, მაგრამ ამხანაგობის გვერდისავლით, 17 ადამიანის მიერ გადახდილი 300 000 აშშ დოლარი მიითვისეს.

თამაზ დაუშვილის ოჯახი, საკუთრებაში 1 760 კვადრატული მეტრი მიწის ფართობს ფლობდა თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირზე, ავეჯის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე. 2007 წელს, თამაზ დაუშვილს დავით და აკაკი ენუქიძეებმა, ამ ტერიტორიაზე, 15-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა შესთავაზეს: **„2007 წლის 13 ივლისს, სანოტარო აქტის საფუძველზე, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „არენა სითი“ დავაფუძნეთ. ამხანაგობის გამგეობის წევრები ვიყავით მე, დავით და აკაკი ენუქიძეები და ლავრენტი ჯანიაშვილი. ამხანაგობის წესდების მიხედვით, აკაკი ენუქიძის ფუნქციაში შედიოდა სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება და მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მიღება შესაბამისი უწყებებიდან. რაც შეეხება დავით ენუქიძეს, მას მშენებლობის ორგანიზება და წარმართვა, მშენებლობის დაფინანსება და მისი დასრულება ევალებოდა. ამ მიზნით, დავით და აკაკი ენუქიძეებმა სამშენებლო სამუშაოების შესრულება დაიწყეს, მაგრამ მხოლოდ საძირკველი, ანუ „კატლოვანი“ ამოჭრეს და 7-8 თვის განმავლობაში, სხვა არაფერი გაუკეთებიათ. ამასობაში 2008 წელი დადგა, აგვისტოს ომი დაიწყო, რასაც ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა და მშენებლობები გაჩერდა. იმის გამო, რომ ენუქიძეები აღარ გამოჩენილან და მშენებლობაც გაჩერდა, კრება ჩავატარეთ და ენუქიძეები ამხანაგობიდან გავრიცხეთ“.**

თამაზ დაუშვილი გვიამბობს, რომ ამ ამბიდან დაახლოებით ორი წლის შემდეგ, უცნობი მოქალაქე დაუკავშირდა, რომელმაც ენუქიძეებს გარკვეული თანხა გადაუხადა და კორპუსში, რომელიც მარშალ გელოვანის გამზირზე უნდა აშენებულიყო, ფართი შეიძინა. დაუშვილმა გაარკვია, რომ ამ უცნობი მოქალაქის გარდა, ანალოგიური პრობლემა 17 ადამიანს ჰქონდა, რომლებსაც დავით და აკაკი ენუქიძეები, ამხანაგობა „არენა სითის“ სახელით, საკმაოდ სოლიდურ თანხას სძალავდნენ: **„ცხადია, დაზარალებულებს ავუხსენი, რომ მათ მიერ გადახდილი თანხა ენუქიძეებს ამხანაგობაში არ მოუტანიათ. სწორედ მათგან შევიტყვეთ, რომ ენუქიძეებს საკუთარი ბეჭედი შეუქმნიათ, ქვითრებიც დაუმზადებიათ და ამხანაგობის სახელით, ისე, რომ ჩვენ საქმის კურსში არც კი ვიყავით, დაახლოებით, 300 000 აშშ დოლარი მიუთვისებიათ. 2011 წელს, დაზარალებულებმა იჩივლეს და ენუქიძეები დაიჭირეს კიდეც, რომლებიც თაღლითობის მუხლით გაასამართლეს და ორივეს, დავითსაც და აკაკისაც, 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მე, როგორც ამხანაგობა „არენა სითის“ გამგეობის წევრი, პროკურატურაში დამიბარეს და ფაქტის წინაშე დავდექი. გაირკვა, რომ უკვე არსებული ამხანაგობის წევრების გვერდისავლით, ენუქიძეებმა დამატებითი ამხანაგობა შექმნეს, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა, რადგან არც ნოტარულად და არც ოფიციალური დოკუმენტებით, დამოწმებული არ ყოფილა. სასამართლო პროცესზე დაზარალებულებმა თვითონვე განაცხადეს, რომ, პირველად მხედავდნენ, მაგრამ განცხადებებში უწერიათ, რომ როდესაც ენუქიძეები თანხას იღებდნენ, ამ პროცესს თამაზ დაუშვილიც ესწრებოდა, რაც სრული აბსურდია“.**

გარდა იმისა, რომ სასამართლომ ენუქიძეები თაღლითებად სცნო და ორივეს 6-წლიანი პატიმრობა შეუფარდა, დაზარალებული მოქალაქეებისთვის თანხის გადახდაც სწორედ დავით და აკაკი ენუქიძეებს დაეკისრათ. თუმცა იმის გამო, რომ დაზარალებულების განცხადებებში მითითებულია, თითქოს ენუქიძეებისთვის თანხის გადაცემას თამაზ დაუშვილიც ესწრებოდა, უკვე ოთხი წელია, მისი ქონება და საბანკო ანგარიშები დაყადაღებულია:

„ამ ოთხი წლის განმავლობაში, 6 ინსტანციის სასამართლომ ერთი და იგივე გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის თანახმად, ამ საქმეზე დამნაშავეებად ენუქიძეები სცნეს. მეტიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩემს ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღა უნდა მოეხსნათ, მაგრამ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. ერთ-ერთი დაზარალებულის ადვოკატი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე გუჯაბიძე, თანასოფლელები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, გუჯაბიძემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მე, თამაზ დაუშვილს, ენუქიძეებისთვის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობისთვის საჭირო თანხის მოძიების უფლება არ უნდა მიმეცა. უკაცრავად, მაგრამ ენუქიძეებს იმ პერიოდში კაცი რომ მოეკლათ, მე, როგორც ამხანაგობის გამგეობის წევრს, დამნაშავედ გამომაცხადებდნენ? დავით და აკაკი ენუქიძეებს სწორედ მშენებლობისთვის საჭირო თანხის მოძიება ევალებოდათ, მაგრამ მათ ეს თანხა ამხანაგობაში კი არ მოიტანეს, ითაღლითეს, 300 000 აშშ დოლარი მიითვისეს და ეს ხალხი მოატყუეს“.

თამაზ დაუშვილი აცხადებს, რომ ექსპრეზიდენტმა სააკაშვილმა აკაკი ენუქიძე შეიწყალა და ციხიდან გამოვიდა, თუმცა გათავისუფლების შემდეგ, იგი არავის უნახავს და აღარც სასამართლოზე მიდის. „ვერსიის“ კითხვაზე, რატომ ენდო 17 ადამიანი დავით და აკაკი ენუქიძეებს, თამაზ დაუშვილმა გვიპასუხა: **„იმიტომ, რომ 1 კვ. მეტრს ენუქიძეები 250 და 300 აშშ დოლარად ყიდდნენ. შესაბამისად, 100 კვ. მეტრი ბინის ფართში, ეს ხალხი 25 000 აშშ დოლარს იხდიდა, როდესაც ამ ფართის ბინა, მინიმუმ, 80 000 აშშ დოლარამდე ღირს და როგორ გგონიათ, არ შეიძენდნენ ამ ფასად? თანაც ბეჭდიან სალაროს ქვითარს აძლევდნენ, რომელსაც არავითარი ძალა არ აქვს, მაგრამ მათ ხომ ეს არ იცოდნენ? რაც მთავარია, მარშალ გელოვანის გამზირზე, იქ, სადაც საცხოვრებელი კორპუსი უნდა აშენებულიყო, დიდი აბრა იყო გამოკრული და ასე გაებნენ ამ თაღლითების მახეში“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას თამაზ დაუშვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. სარჩელი უკვე შეიტანა, რომლითაც მოსამართლე გუჯაბიძის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს.

გირგვლიანის საქმეზე ვანო მერაბიშვილს 3-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

ასევე მას თანამდებობის 2 წლით დაკავება აეკრძალა. გადაწყვეტილება მოსამართლე დავით მგელიაშვილმა გამოაცხადა. ბრალდებულ ვალერიან მეტრეველს კი, რომელსაც ბრალი ოქროყანაში მეგობრების — ვამეხ აბულაშვილისა და კახაბერ დაბრუნდაშვილის ცემის გამო აქვს წაყენებული, 4,6 წლით პატიმრობა, 2 000-ლარიანი ჯარიმა მიესაჯა და თანამდებობის 2,3 წლით დაკავება აეკრძალა. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულ გერონტი ალანიას, რომელიც მიმალვაში იმყოფება, თავისუფლების 4,6 წლით აღკვეთა და 2000-ლარიანი ჯარიმა და 2,3 წლით თანამდებობის დაკავება აეკრძალა.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალი წარედგინათ დათა ახალაიას და ოლეგ მელნიკოვსაც, თუმცა ახალაიას საქმე, საბერძნეთიდან მისი ექსტრადირების საკითხის გადაწყვეტამდე, ცალკე წარმოებად გამოიყო. მელნიკოვს კი, აღიარებითი ვენების სანაცვლოდ, პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა.

პროკურორ კონსტანტინე კაციტაძის განცხადებით, ივანე მერაბიშვილისთვის ეს უკვე მესამე გამამტყუნებელი განაჩენია: „სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მტკიცებულებები და შს ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი სიყალბისთვის. სასამართლომ უკვე დაადასტურა, რომ მერაბიშვილმა ორგანიზება გაუკეთა სანდრო გირგვლიანის საქმის მტკიცებულებების გაყალბებას და დაფარა დავით ახალაიას მონაწილეობა ამ დანაშაულში. კერძოდ: 2006 წლის 27 იანვარს, თბილისში, „შარდენბარში“, სანდრო გირგვლიანს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა თამარ მერაბიშვილის და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის დავით ახალაიას სუფრის წევრ თათია მაისურაძესთან, რის გამოც ახალაიას დავალებით, ადგილზე გამოძახებულმა კონსტიტუციური უსაფრთხოების თანამშრომლებმა იგი და მისი მეგობარი, ძალის გამოყენებით, ჩასვეს ავტომანქანაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაიტაცეს ოქროყანის სასაფლაოზე. გამტაცებლებმა გირგვლიანი და მისი მეგობარი გააშიშვლეს ძლიერ ყინვაში და სასტიკად სცემეს. ნაწამები სანდრო გირგვლიანის გვამი ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე დააგდეს. მეორე დღეს, თბილისის შს მთავარი სამმართველოს მაშინდელმა უფროსმა მერაბ ბაღათურიამ, შს მინისტრ მერაბიშვილს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მერაბიშვილმა დადასტურებულად იცოდა, რომ დანაშაულის ორგანიზატორი იყო დათა ახალაია, ხოლო შელაპარაკების ადგილას, „შარდენბარში“ იყო მისი მეუღლე თამარ მერაბიშვილი. იმის გამო, რომ ამ ფაქტის გამოაშკარავებით მერაბიშვილს მოუნევდა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება და თანამდებობის დატოვება, მან ახალაიასთან ერთად დაფარა დანაშაული. შედგა დავით ახალაიას „საიდუმლო“ წერილი მერაბიშვილისადმი. თავის მხრივ, მერაბიშვილის „საიდუმლო“ წერილი საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილისადმი, თითქოს დავით ახალაიას ძალისხმევით, გამოაშკარავდნენ სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე კუდ-ის თანამშრომლები: გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა, რომლებიც 2006 წლის 6 მარტს მიეცნენ ბრალდებულად პასუხისგებაში. ამ პირებს, სასჯელის მოხდის საფასურად, ასევე დუმილისა და დანაშაულში უფრო მაღალი თანამდებობის პირების, კერძოდ, დავით ახალაიას ორგანიზატორობის არგანთქმის სანაცვლოდ, მერაბიშვილმა და ახალაიამ შესთავაზეს და გადასცეს ფინანსური საზღაური 100-100 ათასი ამერიკული დოლარი და აღუთქვეს სასჯელისაგან ვადაზე ადრე გათავისუფლება. ამ დანაშაულისთვის, სასამართლომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის და სასჯელის შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ივანე მერაბიშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჩამოართვა თანამდებობის დაკავების უფლება 2 წლის და 3 თვის ვადით.

მერაბიშვილისთვის ეს უკვე მესამე გამამტყუნებელი განაჩენია. იგი ამჟამად სასჯელს იხდის კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის დარღვევის, დიდი ოდენობით ფულადი თანხების გაფლანგვის, ამომრჩევლის მოსყიდვის და 2011 წლის 26 მაისს, მოქალაქეთა მასობრივი დაკავებისა და დარბევის ბრძანების გაცემისთვის“.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

მთავრობის ადმინისტრაციაში ძალადობის თემაზე უწყებათაშორისი ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართება

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მთავრობის მეთაურის უშუალო დაქვემდებარებაში უწყებათაშორისი ჯგუფი იქმნება, რომელიც ძალადობის პრობლემატიკაზე, მათ შორის, ოჯახური ძალადობის თემებზე იმუშავებს. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, სასჯელაღსრულების, ჯანდაცვისა და განათლების მინისტრები შედიან, პირველ შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრთან დღეს შეიკრიბება. ჯგუფის მუშაობაში პირველ ეტაპზე ჩართულები იქნებიან სახელმწიფო სტრუქტურები, ხოლო მომდევნო ეტაპზე — საზოგადოების წარმომადგენლები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები. პრემიერ-მინისტრის დავალებით, ასევე მიმდინარეობდა მუშაობა ძალადობის პრევენციის საერთო ეროვნულ სტრატეგიაზე, რომლის პრეზენტაცია 24 ოქტომბერს გაიმართება. ეს იქნება პირველადი სამუშაო დოკუმენტი იქნება, რომლის განხილვაში ჩაერთვებიან არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი რეკომენდაციები საბოლოო დოკუმენტში აისახება.

„პირველი“

1. ევრაზიის კონტინენტის შემადგენელი ნაწილი
2.შემოღობილი სათავსი ცხოველებისათვის
3. პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელი
4. სამხედრო გემების დიდი შენაერთი
5. გამქრალი მოვლენის გადმონაშთი
6. სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში
7. ფილტვების მფარავი გარსი
8. თებეს მითიური მეფე
9. სახლს მიშენებული ღია მოაჯირიანი ნაწილი
10.მუსიკ. ნაწარ. შესრულების შენელებული ტემპი
11. საჯდომი ნერვის ანთება
12.თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა აღმოსავლეთში
13. საჭმელი სოკოს სახეობა
14. ფილმი იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით
15. შალის საპალტოე ქსოვილი
16. ქალაქ იზმირის ძველბერძნ. სახელი
17. სახალხო კრება ძვ. საბერძნეთში
18. ამერიკელი მწერალი, ნოველისტი
19. თმის მცენარეული საღებავი
20. წინასწარმეტყველ მუჰამედის საყვარელი ცოლი
21. ისლით გადაფარებული წნელი ქოხი
22. დედალოსის ურჩი ვაჟი
23.„სკუადრა აძურას“ ყოფილი ნახევარმცველი
24.წიწვოვანი ტყის ზოლი ციმბირში
25.მრგვალი თარიღის საზეიმო აღნიშვნა
26.საქართ. მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მეტსახელი
27. ყურის შიგნითა ნაწილი
28. ჭაობის მცენარე
29. დაბა სამხრეთ საქართველოში
30. გეიშას მოწაფე იაპონიაში
31.კოვბოის საყვარელი ალკოჰოლური სასმელი
32. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
33.ფრანგი მწერალი
34.შინაური ცხოველი
35. მდინარე რუსეთში
36.სოფლის ან ქალაქის ნაწილი
37. შხამიანი ბუჩქოვანი მცენარე
38. საყვარელი, ხარჭა
39. „ჰარი პოტერის“ ავტორი ... როულინგი
40. რუსი მწერალი ... ტოლსტოი
41. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
42.ადამიანის სხეულის ზედა ნაწილის ქანდაკება
43. კატისებრთა ოჯახის ცხოველი
44. სიგრძის საზომი ერთეული
45. ოქროს ურდოს სარდალი
46. მარტოხელა, უთვისტომო ბიჭი
47.ისტორ. მხარე სამხრეთ საქართველოში
48. პლატონ სამანიშვილის მამა
49. მუხის ნაყოფი
50.სოფ. დმანისის რ-ში
51.კოლხეთის ძვ. სახელწ.
52. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ...“
53. სამკურნალო დაწესებულება
54. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი
55.ქართული ანბანის პირველი ასო
56.ფრანგი მხატვარი ანრი ტულუზ-...
57. დათა თუთაშხიას და
58.ნამგლის ფორმის ხრტილი მუხლის სახსარში
59. ბიზნეს-ვგუფი საქართველოში
60.ორმარცვლიანი მუხლი ანტიკურ ლექსში
61. გერმანელი რომანტიკოსი პოეტი
62. მექანიკური მუშაობის ერთეული
63. ბუდისტების მღვდელი
64. სასახლე ძველ ქართულში
65. თბილისის ერთ-ერთი რაიონი
66. დაქირავებული ჯარისკაცი იაპონიაში
67. ავადმყოფური გამონაზარდი ხეზე
68. ხელის საგრილობელი
69. მძიმე ინფექციური დაავადება
70.იმანუილ კანტის მმობლიური ქალაქი
71.კუდიანების დასაფრთხობი შეძახილი ფიაკოკონობისას
72. საეც. გემი ავტომობილების გადასაყვანად
73. განთიადის ქალღმერთი ბერძნ. მით.
74.წყლის ნიმფა გერმანულ მითოლოგიაში
75. შხამიანი გომბეშო
76.საყანედ გაკაფ. ტყე
77.ფრანგ. ავტომარკა
78. ჭამის სურვილი
79. იაპონური ავტომარკა
80. მეოთხე მუსიკალური ინტერვალი
81. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
82. პროფესიონალი მკვლელის სახელი ლუკ ბესონის ფილმში
83.ქართული გვარების ერთ-ერთი დაბოლოება
84. საჭმლის მომნელებელი ორგანო
85. საქარგავი ფერადი ძაფი
86.კუნთთან კავშირის აღმნიშვნელი წინსართი
87. ერთი სახელმწიფო მეორის ტერიტორიაზე
88. ცხენის კუდის ბეწვი

ბარში შესვლა 25 წლით აუკრძალეს

ლონდონის მცხოვრებს, ქურდობის გამო, 25 წლით აუკრძალეს ნებისმიერი დაწესებულების სტუმრობა, სადაც კი სასმელის დალევა შეიძლება — ასეთი გადაწყვეტილება სასამართლო პრაქტიკაში პირველად მიიღეს. გარდა ამისა, 34 წლის როდნი უილიამსი საპატიმროში 4 წელიწადსაც გაატარებს — იგი დამნაშავედ სცნეს ქურდობის 12 ეპიზოდში. მამაკაცი ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ დაწესებულებაში ჩანთის ქურდობაზე დაიჭირეს. გამოძიებისას კიდევ რამდენიმე საქმე ამოუტივტივდა და აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად ლონდონის პაბებში, კლუბებსა და რესტორნებში „საქმიანობდა“. სტატისტიკური მონაცემებით, ქალაქში დაახლოებით 35 ათასი დაწესებულებაა, სადაც ალკოჰოლური სასმელის მიღება შეიძლება და სადაც, სასამართლოს ვერდიქტით, მისტერ უილიამსი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ფეხს ვერ შეადგამს.

გადასახადს კულტურული მემკვიდრეობით ისტუმრებენ

იტალიელებს შეუძლიათ გადასახადები სახელმწიფოსთვის კულტურული მემკვიდრეობის საგნების საკუთრებაში გადაცემით გადაიხადონ — მაგალითად, აპენინელებს შეუძლიათ სამშობლოს აჩუქონ ხელოვნების ნიმუშები, ღირებული არქეოლოგიური ნივთები, თანამედროვე მხატვრების ნაწარმოებები, ძველი წიგნები და ვილებიც კი. შესაბამისი კანონი იტალიაში ჯერ კიდევ 1982 წელს მიიღეს, თუმცა ბოლო დრომდე არ გამოუყენებიათ, რადგან კულტურული მემკვიდრეობის შეფასების ერთიანი სისტემა არ არსებობდა. სახელმწიფოსთან ანგარიშსწორების მსგავსი ფორმა წარმატებით მუშაობს ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ბოლო ორი წლის განმავლობაში ხაზინას გადაეცა 80 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ფასეულობები.

ᲡᲣᲓᲝ�კᲣᲠᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				7				2
	3		9	6				8
7		8		1	4			
3					6		4	1
				5				
5	6		2					7
			1	4		8		6
9				3	8		7	
8				2				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	2			5				6
				4	3		2	
		8				3		
9							5	
8		6				7		3
	3							9
		1				8		
	5		4	6				
2				9			7	

ᲠᲗᲣᲚᲘ

			8		6	1		5
9				1				
		8				7		
	2	7	4	6				
				7	5	3	6	
		4				8		
				5				7
6		9	2		8			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5		9		8	2	3		
	8				9		4	
7				4	8	2		6
9								5
4		5	6	9				7
	7		9				8	
		2	8	7		1		4

სისხლის ჯგუფი და ადამიანის ხასიათი

სწავლულების აზრით, ადამიანის სისხლის ჯგუფზე მისი ჯანმრთელობა, ხასიათი და ტემპერამენტია დამოკიდებული. პირველი ჯგუფის მქონე პიროვნება ენერგიული, კომუნიკაბელური და ნებისყოფიანია. მას ლიდერის თვისებები აქვს და ხშირად პირველობისთვის იღვწის; ვერ გრძნობს დაღლილობას და მცირე დროში, სხვებზე მეტ სამუშაოს ასრულებს. ეს ადამიანები, საშუალოდ, 75 წლამდე ცოცხლობენ. მკვლევარების აზრით, სიცოცხლის ასეთი ხანგრძლივი მაჩვენებლის მიზეზი ჯანსაღი ფსიქიკაა, თუმცა, ჯანმრთელობის პრობლემები სისხლის პირველი ჯგუფის მქონეებსაც აქვთ — გასტრიტი აწუხებთ და ვნებს ალკოჰოლი. ამ ადამიანებმა კვების რაციონი ქათმისა და საქონლის ხორცით უნდა გაიმდიდრონ.

მეორე ჯგუფის მქონე ადამიანები გამჭრიახები და დაკვირვებულები არიან. ისინი შრომისუნარიანობას რთულ ვითარებაშიც კი ინარჩუნებენ. კეთილსინდისიერები და მონდომებულები არიან, კარიერაში წარმატებას მხოლოდ საკუთარი შრომით აღწევენ. ერთგული მეგობრები და სასიყვარულო პარტნიორები არიან... თუმცა მოიკოჭლებს მათი ჯანმრთელობა — ათეროსკლეროზი, ინფარქტი, დიაბეტი, შარდკენჭოვანი დაავადებები — მცირე ჩამონათვალია, რისგანაც თავი უნდა დაიზღვიონ. რაც შეეხება სპირტიან სასმელს, რთულად იტანენ და ცდილობენ, იშვიათად დალიონ.

სისხლის მესამე ჯგუფის მქონეები მგრძნობიარენი, ნიჭიერნი, ერთგული მეგობრები და კოლეგები არიან, მუშაობისას კი — მომთხოვნი, როგორც საკუთარი თავის, ისე გარშემომყოფების მიმართ. მათი გარეგანი სიმშვიდისა და აუღელვებლობის მიღმა, მგრძნობიარე და სათუთი პიროვნება იმალება. როცა საქმე სიყვარულს ეხება, ვნებიანები და თავშეუკავებლები ხდებიან. მესამე ჯგუფის მქონე ქალი მამაკაცზე უფრო ეჭვიანი, დამოუკიდებელი და თავქარიანია. რაც შეეხება ჯანმრთელობას, ამ ჯგუფის წარმომადგენლები პირველი ჯგუფის მქონეებზე ჯანმრთელები არიან, კვების რაციონი კი ცხვრისა და კურდღლის ხორცით უნდა გაიმდიდრონ.

სისხლის მეოთხე ჯგუფის მქონე ადამიანებზე ნაკლებ ინფორმაცია არსებობს, რადგან ეს ჯგუფი იშვიათია და შესაბამისად, სრულყოფილი გამოკვლევა ჯერ ვერ მოხერხდა. ამ ჯგუფის წარმომადგენელში თითქოს ორი ადამიანი ცხოვრობს. მუდმივად ორჭოფობს, თუმცა მაქსიმალურად ცდილობს, სხვების თვალში თავდაჯერებული გამოჩნდეს. შეუცვლელია სიყვარულში, მეგობრობასა და ოჯახში. ასეთი ადამიანი იდეალური პარტნიორია, მეგობრების, ახლობლებისა და ოჯახის წევრების მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს.

ნიუ იორკი – ყველაზე მიმზიდველი ქალაქი

ცნობილმა სააგენტომ „გლობალსითის ინდექსმა“ მსოფლიოს ყველაზე მიმზიდველი ქალაქების რეიტინგი შეადგინა, ლიდერის პოზიცია კი ნიუ იორკმა, ლონდონმა და ტოკიომ დაიკავეს. სააგენტო მსოფლიოს 65 მეგაპოლისს ხუთი კატეგორიის მიხედვით აფასებდა: საქმიანი აქტივობა, ადამიანური კაპიტალი, საინფორმაციო გაცვლა, კულტურული გამოცდილება და სამართლებრივი ურთიერთობები. საქმიანი აქტივობის მხრივ პირველ სამეულში აშშ-ს უდიდესი მეგაპოლისი, ტოკიო და პარიზი შევიდა; ადამიანური კაპიტალით ლონდონი, ნიუიორკი და ლოს-ანჯელესი დაწინაურდნენ; საინფორმაციო გაცვლის კატეგორიაში პირველ პოზიციებზე ნიუ იორკი, ჟენევა და ლონდონია; კულტურული გამოცდილების მხრივ ლიდერებად ნისლიანი ალბიონის დედაქალაქი, პარიზი და ნიუ იორკი სახელდებიან. სამართლებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით, პირველ სამეულში ვაშინგტონი, ნიუ იორკი და ბრიუსელი მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში მახასიათებლად საელჩოებისა და საკონსულოების, ანალიტიკური ცენტრებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობას ითვალისწინებენ. მსოფლიოს ყველაზე მიმზიდველი ქალაქების რეიტინგის ტოპ-ათეული კი ასე გამოიყურება: ნიუ იორკი, ლონდონი, ტოკიო, პარიზი, ჰონგკონგი, ჩიკაგო, ლოს-ანჯელესი, სინგაპური, სიდნეი და სეული.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	2	3	4	7	1	9	8	6
4	9	8	6	3	2	7	5	1
7	6	1	9	5	8	2	4	3
6	5	7	2	1	9	4	3	8
1	8	2	7	4	3	6	9	5
3	4	9	8	6	5	1	2	7
9	3	6	1	8	4	5	7	2
2	1	5	3	9	7	8	6	4
8	7	4	5	2	6	3	1	9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

1	9	6	7	8	5	3	4	2
5	8	7	4	3	2	6	1	9
4	3	2	1	9	6	8	7	5
3	5	4	9	2	1	7	8	6
7	2	9	8	6	4	1	5	3
8	6	1	5	7	3	2	9	4
6	7	8	3	5	9	4	2	1
2	4	5	6	1	8	9	3	7
9	1	3	2	4	7	5	6	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	3	7	2	5	9	4	8	6
8	9	6	1	4	7	5	3	2
5	2	4	8	3	6	1	9	7
2	1	9	5	7	4	3	6	8
7	8	5	6	1	3	2	4	9
6	4	3	9	2	8	7	1	5
4	7	8	3	9	5	6	2	1
3	6	2	7	8	1	9	5	4
9	5	1	4	6	2	8	7	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	6	1	8	9	7	5	4	2
5	4	2	6	1	3	9	8	7
9	8	7	2	5	4	1	6	3
7	5	6	4	3	2	8	1	9
8	3	4	1	7	9	2	5	6
2	1	9	5	8	6	7	3	4
6	7	8	3	2	1	4	9	5
4	2	5	9	6	8	3	7	1
1	9	3	7	4	5	6	2	8

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	2	5	8	3	1	7	4	6
1	8	7	6	5	4	2	3	9
3	4	6	2	9	7	5	8	1
6	3	2	7	4	9	1	5	8
8	1	9	5	6	3	4	7	2
7	5	4	1	8	2	6	9	3
2	9	1	4	7	8	3	6	5
5	7	3	9	2	6	8	1	4
4	6	8	3	1	5	9	2	7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	7	9	1	6	3	5	4	2
5	4	3	2	9	7	1	8	6
2	6	1	4	5	8	3	9	7
4	8	2	7	3	1	6	5	9
9	5	7	8	4	6	2	3	1
3	1	6	5	2	9	8	7	4
1	3	5	6	7	4	9	2	8
7	9	8	3	1	2	4	6	5
6	2	4	9	8	5	7	1	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	9	4	2	5	1	6	3	8
3	2	6	9	8	4	7	1	5
1	8	5	3	7	6	2	9	4
8	7	3	6	4	2	1	5	9
4	6	1	5	3	9	8	2	7
2	5	9	8	1	7	4	6	3
9	4	8	1	6	5	3	7	2
6	3	2	7	9	8	5	4	1
5	1	7	4	2	3	9	8	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	7	5	2	1	9	6	4	3
6	3	4	8	7	5	2	1	9
2	1	9	4	6	3	5	8	7
9	8	7	5	4	2	3	6	1
5	6	2	1	3	8	7	9	4
1	4	3	7	9	6	8	5	2
7	5	8	9	2	1	4	3	6
3	2	1	6	5	4	9	7	8
4	9	6	3	8	7	1	2	5

მე-9 გვერდი: 1. „მერანი; 2. კარიბუ; 3. პლენერი; 4. მილანი; 5. რანეტი; 6. ნორილსკი; 7. სანეევი; 8. კრავი; 9. რეესტრი; 10. ბავარია; 11. იადონი; 12. ოქსინო; 13. ატონია; 14. პლატონი; 15. ვიქტორი; 16. ქააბა; 17. ომნიბუსი; 18. იამანიძე; 19. სტიქია; 20. „კლარუსი“; 21. არმია; 22. ორიონი; 23. „ოაზისი“; 24. შევჩენკო; 25. უდაბნო; 26. ბალადა; 27. ჩიჩუა; 28. ელ-გრეკო; 29. ირისი; 30. იდილია; 31. მანია; 32. ნაი; 33. სეჩი; 34. არალი; 35. აზოტი; 36. „სონატა“; 37. გრაბარი; 38. დულ 39. ნუბია; 40. მექსიკა; 41. ტვენი; 42. ინდაური; 43. ნიუ; 44. აისი; 45. სია; 46. რტო; 47. ზესხო; 48. იარა; 49. რა; 50. კიო; 51. სიკა; 52. თოკი; 53. ზიზუ; 54. ხმა; 55. დია; 56. ედილი; 57. თარაზო; 58. მიკი; 59. პო; 60. პირსი; 61. არაია.

მე-12 გვერდი: 1. მენიუ; 2. „მინდია“; 3. ნოქარი; 4. ურიკა; 5. მინსკი; 6. იარანგი; 7. სახაროვი; 8. ონიქსი; 9. ვრასტან; 10. ელდორადო; 11. ფრახტი; 12. არაგონი; 13. აირანი; 14. ლივრეა; 15. ლირა; 16. გრო; 17. იდენი; 18. სასწორი; 19. წერაქვი; 20. პარიკი; 21. მაილი საირუსი; 22. ნიავი; 23. ტერ; 24. კიბე; 25. მარტი; 26. მრავალჟამიერი; 27. რაეო; 28. გიდი; 29. აგუტი; 30. რქა; 31. შნო; 32. აგარაკი; 33. ირი; 34. ურემი; 35. ნუნა 36. ბაასი; 37. ნადი; 38. ორლი; 39. გუშინ; 40. კაა; 41. გიჟი; 42. პიპია; 43. უნია; 44. ქობალია; 45. „მრია“; 46. კოტ; 47. მესა; 48. ვილია; 49. აბაკა; 50. პოდიუმი; 51. ვირსალაძე; 52. ბუასტი; 53. აკაჟუ; 54. საარი; 55. ნეთანია; 56. სეული; 57. ქინძი; 58. კრიჟი; 59. ნიყვი; 60. რძალი; 61. ბარქაია; 62. ბაია; 63. ოლე; 64. ჯაყვა; 65. იუმორი; 66. ინსი; 67. შასლა; 68. ტარო; 69. კივი; 70. ნიუ; 71. ბის; 72. ბლითი; 73. ბუი; 74. მზია; 75. შალი; 76. ბეიძინი; 77. ბიშკეკი; 78. ლეია; 79. აზუ; 80. იკი; 81. რისკი; 82. ფართალი; 83. ანჟუ; 84. კიი; 85. მის; 86. კუ; 87. ფრაუ.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125 დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.

2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;

3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.